



ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგვეთის საჯარო სკოლა)

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაგდა მიქაბერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრები:

1. ნათია ლოღობერიძე - ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
2. ხათუნა დუგლაძე - საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
3. კახა გალდავა - საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი
4. ნინო თამარაშვილი - უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი
5. ნაია ენდელაძე - ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი
6. ჟანა ბელქანია - ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი
7. თამარ ოძელაშვილი - სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი
8. ირაკლი ქობალაია - მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი
9. გიორგი კოპლატაძე - სპორტის საგნობრივი ექსპერტი
10. ნათია კურტანიძე - ზოგადი განათლების დანერგვითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	225065372

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	ბაღდათი, სოფელი ნერგეთი
იურიდიული მისამართი	ბაღდათი, სოფელი ნერგეთი, პირველი ქუჩა N10
ფაქტობრივი მისამართი	ბაღდათი, სოფელი ნერგეთი, პირველი ქუჩა N10
საფოსტო ინდექსი	1000
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	ვებ-გვერდის ლინკი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	nergeeti@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	577 64 10 80

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება - MES 1 23 0001023474; 22/08/2023
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2023 წლის 9-10 ოქტომბერი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ბალდათი, სოფელი ნერგეთი, პირველი ქუჩა N10
2	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ბალდათი, სოფელი ნერგეთი, პირველი ქუჩა N10
3	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საგანმანათლებლო საფეხური	ქართული ენა	ბალდათი, სოფელი ნერგეთი, პირველი ქუჩა N10

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 9 და 10 ოქტომბერს, სსიპ ბალდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

სკოლაში ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასებას და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს, რის საფუძველზეც ექსპერტებმა გამოვითხოვეთ დამატებითი ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დოკუმენტაცია, შედგა ვიზიტის დღის წესრიგი და გასაცნობად გადაეგზავნა სკოლას. ვიზიტმა ჩაიარა თანამშრომლობით, საქმიან და მშვიდ ვითარებაში, რომლის ფარგლებშიც ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების მიხედვით სკოლაში სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას, დაათვალიერა სკოლის შენობა, მათ შორის კომპიუტერული კლასები და საბუნებისმეტყველო მეცნიერებების ლაბორატორიები, რომელთა შესწავლა განახორციელა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივმა ექსპერტმა.

ვიზიტის დროს შედგა გასაუბრება: დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან და ადმინისტრაციულ პერსონალთან. საგნობრივი ექსპერტები გაესაუბრნენ შესაბამისი კათედრის წარმომადგენლებს. ინტერვიუების პროცესში, საგნობრივი ექსპერტების მიერ დაისვა დამაზუსტებელი კითხვები კურიკულუმის დანერგვის პროცესებთან მიმართებით.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთის საჯარო სკოლა მცირეკონტიგენტიანი სკოლაა, რომელიც ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის მხარდაჭერასა და განვითარებაზე. აღსანიშნავია, რომ სკოლის მასწავლებლები მოხალისეობრივად ამზადებენ დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებს ერთიანი ეროვნული გამოცდებისთვის. ვიზიტისას გამოიკვეთა რომ სკოლაში არის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



თანამშრომლობითი და კეთილგანზობილი გარემო, რომელიც აისახება მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებზე. სკოლაში ფუნქციონირებს არაფორმალური განათლების მიმართულებით სხვადასხვა კლუბები, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯთან და უნივერსიტეტთან, რაც მოსწავლეებს საშუალებას აძლევს პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით ცნობიერების ამაღლებაში. სკოლის ბაზაზე ხდება მომავალი მასწავლებლების მომზადება აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან თანამშრომლობით. განსაკუთრებით აქტიური და გამორჩეულია სპორტის მიმართულება, სკოლას უამრავი პრიზი აქვს მოგებული სხვადასხვა სპორტის სახეობაში რაიონის ფარგლებში და არამხოლოდ.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი/კომპონენტი	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3	☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



პროცესების მართვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 მოსწავლეთა მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 80	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება	აღწერა (იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

1. ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - სრულ შესაბამისობაშია
2. ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილ შესაბამისობაშია
3. ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა - მეტწილ შესაბამისობაშია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	ხარვეზი
		
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	ხარვეზი
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	ხარვეზი	სასკოლო კურიკულუმი

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)¹

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში: (09.10.2023-30.12.2023) - სამედიცინო კაბინეტის სრულყოფილად აღჭურვა(შირმა, კომპიუტერი, პულსოქსიმეტრი, მხედველობის შესამოწმებელი ცხრილი, კისრის ფიქსატორი, გადაუდებელი დახმარების ჩანთა, ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი, შპადელი, სტერილური საფენები. ექთანს არ ჰქონდა სამედიცინო

¹ გარდა შორეულ სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



		შემთხვევების აღრიცხვის უურნალი და მომსახურების სააღრიცხვო ფორმა). (10.10.2023-10.10.2024) - შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება; (09.10.2023-10.10.2024) - საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავება და შეთანხმება შესაბამის უწყებასთან;
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ უზრუნველყოს, შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (09.10.2023-09.10.2024), სკოლის აღჭურვა მოძრავი პანდუსით/ან ლიფტით შშმ მოსწავლეების გადასადგილებლად და სველი წერტილის ადაპტირება.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
ინდიკატორი		

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (საბაზო და საშუალო საფეხურები)	სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია
კომპონენტი: 2.2 (კურიკულუმის განხორციელება) ინდიკატორი 2.2.1.3	სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;	შესაბამისობის გეგმით განსაზღვრულ ვადებში (10.10.2023-10.10.2024) სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მონაცემები. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი)

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	რჩევა
ინდიკატორი 1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალ-კულტურულ სივრცეს;	სასურველია სკოლის ხედვაში ჩანდეს დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხედვაში გაყდერებული მიზნები მიიღწევა.
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	რჩევა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორი 3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;	სასურველია სკოლამ დოკუმენტის სახით განეროს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესი.
ინდიკატორი 3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს შრომის უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	რჩევა
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (სამივე საფეხურის კურიკულუმი)	რჩევა
ინდიკატორი 2.1.2.1	შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას	უცხო ენა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი სასურველია, რუსული ენის V - VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებების დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულ იქნას დავალების და მოსწავლეთა საჭიროების გათვალისწინებით შერჩეული დამატებითი რესურსები, რომელიც გამოყენებული იქნება სასწავლო პროცესში (გარდა სახელმძღვანელოში მოცემული მასალისა).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორი 2.1.2.2	კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);	უცხო ენა დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი . სასურველია დაწყებითი საფეხურის რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოზე მუშაობისას გამოიკვეთოს როგორ დამუშავდება სამიზნე ცნებები კონკრეტული თემის ფარგლებში პროექტული ტიპის/კომპლექსური დავალებების განხორციელების შემთხვევაში
ინდიკატორი 2.1.2.4	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;	ესთეტიკის დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმი დაიხვეწოს და შეიქმნას თითოეული დავალებისათვის განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება სასწავლო თემების ფარგლებში სამიზნე ცნებების შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან.
ინდიკატორი 2.2.1.1	სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებებს პროცესში ჩართულობას შესაძლებლობას	უცხო ენა დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმი . პირველ და მეორე უცხოურ ენაში სასწავლო პროცესში მოსწავლეთა აქტიურად და შემოქმედებითად ჩართვის შესაძლებლობის გაზრდისთვის დაიგეგმოს მეტი კომპლექსური ტიპის დავალებები და სასწავლო პროექტები.
ინდიკატორი 2.2.1.5	სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.	უცხო ენა დაწყებითი და საბაზო საფეხურის კურიკულუმი. სასურველია უცხოური ენის დაწყებით კათედრაზე დაიგეგმოს და განხორციელდეს საგანთაშორისი აქტივობები და/ან პროექტები, რათა მოხდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებული პოზიციით წარმოდგენილ შესაბამისობის გეგმას და შემუშავებულ დოკუმენტებს, რის შემდეგაც შეიცვალა გარკვეული ინდიკატორების შეფასება. ინდიკატორების ნაწილი შეფასდა, როგორც სრულად შესაბამისი, ნაწილი კი მეტწილად შესაბამისი. არგუმენტირებული პოზიციით სკოლამ წარმოადგინა შემდეგი დოკუმენტები

1. ცნობები „უფლების ჩამორთმევის შესახებ“;
2. სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთის საჯარო სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით სარგებლობის წესი;
3. ბრძანება 2-56 ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის შესახებ;
4. ესთეტიკის კათედრის (ხელოვნება-XI, მუსიკა - X) კურიკულუმის ჩარჩოები;
5. უცხო ენების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოცო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს, კერძოდ, ორიენტირებულია ისეთი მოქალაქის ჩამოყალიბებაზე, რომელიც იქნება აქტიური, კრიტიკულად მოაზროვნე, განვითარებაზე ორიენტირებული და შეძლებს საკუთარი თავის დამკვიდრებას, როგორც ეროვნულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ინდიკატორი 1.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მისია და ხედვა მიზნად ისახავს ისეთი საგანმანათლებლო სივრცის ფორმირებას, რომელიც შექმნის პოზიტიურ სასწავლო კლიმატს, სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხოა, და აქტიური, პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული მოქალაქის ფორმირებას უწყობს ხელს. *სასურველია სკოლის ხედვაში ჩანდეს დროის პერიოდი, რომლის განმავლობაშიც ხედვაში გაუღერებული მიზნები მიიღწევა.*

ინდიკატორი 1.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სკოლის მასწავლებლების, მოსწავლეთა თვითმმართველობის წამომადგენლისა და მშობელთა ჩართულობით. სკოლის მისია და ხედვა წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს და შესაბამისად ის შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, შეთანხმებულია სამეურვეო საბჭოსთან, დამტკიცებულია პედაგოგიურ საბჭოზე და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებისათვის.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 1.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებ-გვერდზე. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას აქვს მისი გაცნობის, მოსაზრებების გამოთქმისა და უკუკავშირის მიცემის საშუალება. ამასთანავე, სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები არის შვიდწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმის ნაწილი, რომელიც შემუშავდა სამუშაო ჯგუფის მიერ, განიხილეს პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე, რაც დასტურდება შესაბამისი სხდომის ოქმით და დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ, რაც ადასტურებს იმას, რომ სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული და მიღებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 1.1.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი, იგი განთავსებულია თვალსაჩინოდ საინფორმაციო დაფაზე და სკოლის ვებ-გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5 დაკმაყოფილებულია

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს და განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული შესაბამისი ბრძანებით - „სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთის საჯარო სკოლა“.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლოს სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმი N5;
- ბრძანება 2-06 - ავტორიზაციის განაცხადის შევსებასა და პროცესზე პასუხისმგებელი შიდა სასკოლო ჯგუფის დამტკიცების შესახებ;
- სკოლის ვებ-გვერდი - [ნერგვეთი](#)

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიაში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის ეტაპები: სტრატეგიული დაგეგმვის ინიცირება, სტრატეგიული გეგმის მომზადება და განხილვა, სტრატეგიული გეგმის დამტკიცება და სტრატეგიული გეგმის გადახედვა. აღნიშნული მეთოდოლოგიის შესაბამისად სკოლა ყველა ეტაპზე რთავს სასკოლო საზოგადოებას. დაგეგმვის ეტაპზე მუშაობს სამუშაო ჯგუფი, შემდეგ გაუზიარდება სასკოლო საზოგადოებას პრეზენტაციის სახით, სადაც მათ უკუკავშირის მიცემის საშუალება ექნებათ. საბოლოო სახით ჩამოყალიბებულ სტრატეგიულ გეგმას ამტკიცებს სკოლის სამეურვეო საბჭო, რის შემდეგაც მოხდება მისი გასაჯაროება სკოლის ვებ. გვერდზე, სადაც სასკოლო საზოგადოებას კიდევ ერთხელ მიეცემა საკუთარი მოსაზრებების დაფიქსირების საშუალება. ამრიგად, სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს.

ინდიკატორი 1.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას შემუშავებული აქვს 7 წლიანი ციკლური სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს. ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს; აღნიშნული დოკუმენტი შემუშავდა სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, კერძოდ, სამუშაო ჯგუფის მიერ, განხილულ იქნა პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე და 2023 წლის 6 ოქტომბერს დამტკიცდა სამეურვეო საბჭოს მიერ, რაც დასტურდება სამეურვეო საბჭოს N3 სხდომის ოქმით.

ინდიკატორი 1.2.1.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლას აქვს შემუშავებული სამოქმედო გეგმა, რომელიც არის ერთნაირი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;

ინდიკატორი 1.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორი 1.2.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წერგეთის საჯარო სკოლის შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა 2023-2030 წლები;
- ერთნაირი სამოქმედო გეგმა;

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

1. სკოლას აქვს შემუშავებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია, რომლის მე-12 თავი მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, მასში განსაზღვრულია, ვის მიერ, რა პერიოდულობით და რა ფორმით მოხდება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება.

ინდიკატორი 1.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ვერ განხორციელდებოდა. შესაბამისად ინდიკატორიც ვერ ფასდება.
3. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამიტომ აღნიშნული ინდიკატორი ვერ ფასდება.
4. სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია, ამდენად ინდიკატორი ვერ ფასდება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- ბრძანება N2-44 - სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთის საჯარო სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის დამტკიცების შესახებ;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს საკუთარი ორგანიზაციული მოწყობა, რომელიც წარმოდგენილია ორგანიგრამის სახით. სკოლის სტრუქტურა მოიცავს: სამეურვეო საბჭოს, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობას, დისციპლინურ კომიტეტს, სკოლის დირექციას (დირექტორი, ბუღალტერი), ადმინისტრაციას (საქმისმწარმოებელი, ბიბლიოთეკარი), კათედრები, სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, მასწავლებლის პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, ისე ჯგუფი. აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების ფუნქცია-მოვალეობები განწერილია შესაბამის დებულებებში. სკოლაში სახელმწიფო დაფინანსების თვარგლებში, შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულია ერთი ექთანი, ინკლუზიური განათლების მხარდაჭერი სპეციალისტი (სპეციალური მასწავლებელი, დამლაგებელი - 2, დარაჯი - 2, ცეცხლთფარეში. საჯარო სკოლისთვის განსაზღვრული სავალდებულო სტრუქტურული რგოლების მუშაობას არეგულირებს კანონი „ზოგადი განათლების შესახებ“. სკოლის საჭიროებიდან გამომდინარე დასაქმებული პირების/სტრუქტურულ ერთეულების უფლება-მოვალეობები განწერილია დირექტორის მ/შ ბრძანება N2-38-ით დამტკიცებულ სსიპ - ბაღდალის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთის საჯარო სკოლის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამუშაო აღწერილობის დოკუმენტში. სკოლის ადმინისტრაციასთან და ტექნიკურ პერსონალთან გასაუბრებამ აჩვენა, რომ მათ გაცნობიერებული აქვთ თავიანთი ფუნქციები და მოვალეობები.

წარმოდგენილი სკოლის სტრუქტურით, შესაბამისი დებულებებით, დირექტორის მ/შ ბრძანება N2-38-ით დამტკიცებული დოკუმენტით და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებით დგინდება, რომ სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული.

ინდიკატორი 3.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლამ დასახული მიზნების განხორციელებისთვის შეიმუშავა თავისი ორგანიზაციული მოწყობა. სტრუქტურული ერთეულების დებულებებით, თანამდებობრივი ინსტრუქციების დოკუმენტით და დასაქმებულ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებით განსაზღვრულია მათი ფუნქციები. 2023-2024 წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმით დასტურდება, რომ სკოლაში მიმდინარე პროცესებს ჰყავს პასუხისმგებელი პირი/სტრუქტურული ერთეული.

სკოლას შემუშავებული აქვს ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სკოლაში მიმდინარე პროცესების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების, გადახედვისა და რევიზიის ეტაპებს.

ინდიკატორი 3.1.1.2 დაკმაყოფილებულია

ამრიგად, სკოლის სტრუქტურა, დებულებები

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შრომითი ხელშეკრულება;
- ბრძანება N2-38 - თანამშრომელთა სამუშაო აღწერილობის დამტკიცების შესახებ;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სტრუქტურული ერთეულის დებულებები;
- ორგანიგრამა.

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დანესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალების პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ ვიზიტის პერიოდში წარმოგვიდგინა და დაამტკიცა პერსონალის მართვასთან დაკავშირებული წესები და პირობები, რომელიც განერილია სკოლის დირექტორის მ/შ N2-40 ბრძანებით დამტკიცებული „სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის“ დოკუმენტში. დასახული მიზნების განხორციელებისთვის, დანესებულება ხელმძღვანელობს პედაგოგების/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის მოზიდვის, ინტეგრაციის, განვითარების და საქმიანობის შეფასების პროცედურებითა და წესებით. დასაქმებულთა მუშაობის პირობების განსაზღვრა და სამუშაოს განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები წესრიგდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების გათვალისწინებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კერძოდ, დასაქმებულთან შრომითი ხელშეკრულებების გაფორმების დროს გათვალისწინებულია საქართველოს შრომის კოდექსი. სკოლის პედაგოგების შერჩევის მიზნით ვაკანსიის გამოცხადება ხდება, საქართველოს განათლების და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დანყებისა და შეწყვეტის წესის“ დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. პერსონალის მართვის გარკვეული წესები და პირობები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, რომელიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და განსაზღვრავს შრომითი ურთიერთობის ნორმებსა და წესებს. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს, რომელზეც ხელმოწერით დასტურდება დასაქმებულის მიერ შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი.

წარმოდგენილი დოკუმენტებით (პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, სკოლის შინაგანაწესი, პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები) დასტურდება, რომ სკოლას დადგენილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის წესები და პირობები, რომლებიც შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან.

ინდიკატორი 3.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა. სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელი ნაწილია დასაქმებული პირების საქმიანობის შეფასება, რაც ითვალისწინებს პერსონალის საჭიროების და შესაძლებლობების გამოვლენას. სირთულეების დროულ იდენტიფიცირებას და მოგვარების პრევენციული გზების დასახვას.

ინდიკატორი 3.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის თანამშრომლების დაკომპლექტებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა კადრების მოზიდვის და დაქირავების გამჭვირველზე, ობიექტური და მიუკერძოებელი პროცესის წარმართვას, აგრეთვე ნებისმიერი აპლიკანტისთვის თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას. სკოლაში მასწავლებლის დასაქმება ხდება კონკურსით, მასწავლებლის საქმიანობის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დანყების და შეწყვეტის წესის შესაბამისად. სხვა საჭირო კადრისთვის მოზიდვისთვის განსაზღვრულია საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია კონკურსის ვადები, პირობები, კონკრეტული პოზიციისთვის საკვალიფიკაციო მოთხოვნები. განაცხადი ქვეყნდება საჯაროდ, მასწავლებლის ვაკანსიის ვებ-გვერდზე. სკოლის დირექტორის განმარტებით, დანარჩენი პერსონალის (მასწავლებლების გარდა) შერჩევა ხდება დირექციასთან გასაუბრების ან კონკურსის გზით. პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილია კანონმდებლობის შესაბამისი შემდეგი ცნობები: ნასამართლეობის, ნარკოლოგიური შემთხმების და „სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულთან ბრძოლის შესახებ“, დასკვნის პროექტის მიხედვით სკოლის არცერთი თანამშრომლის პირადი საქმე არ მოიცავდა ცნობას „უფლების ჩამორთმევის შესახებ. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა თითოეული თანამშრომლის „ცნობა უფლების ჩამორთმევის შესახებ“.

ექსპერტთა ჯგუფი 3.1.2.3 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას.

ინდიკატორი 3.1.2.3 სრულად შეესაბამება.

4. სკოლაში დასაქმებულია 29 ადამიანი, მათ შორის 19 მასწავლებელი, 15 უფროსი, 2 წამყვანი და 2 უსტატუსო (გაფორმებულია შესაბამისი ხელშეკრულებები და გამოცხადებულია ვაკანსია), რომლებიც შერჩეულნი არიან „მასწავლებლის საქმიანობის დანყებისა და შეწყვეტის წესის“ და მასწავლებლის პროფესიული სტანდარტების შესაბამისად დადგენილი საკვალიფიკაციო მოთხოვნების გათვალისწინებით. კონკურსის წესითაა შერჩეული სკოლის ექთანი და ინკლუზიურ განათლებაში ჩართული სპეციალისტი, სპეც. მასწავლებელი, რომელთა საკვალიფიკაციო მოთხოვნები კანონმდებლობის შესაბამისია. სკოლის ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალისთვის სკოლას დადგენილი აქვს საკვალიფიკაციო მოთხოვნები. დასაქმებულთა პირადი საქმეები მოიცავს მათი განათლებისა და კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პერსონალის პირადი საქმეებისა და eSchool-ის მონაცემების შესწავლით დგინდება, რომ სკოლაში დასაქმებული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.

ინდიკატორი 3.1.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლის ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით განსაზღვრულია პოლიტიკის მართვის ძირითადი პრინციპები და ღირებულებები, მათ შორის მნიშვნელოვანია მონაწილეობის პრინციპი, რაც გულისხმობს შესრულებული სამუშაოს შეფასების პროცესში პერსონალის სრულ ჩართულობას. სკოლაში თანამშრომელთა მცირე რაოდენობაა, შესაბამისად კათედრის წევრებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ ერთობლივად გეგმავენ კურიკულუმებს, უზიარებენ გამოცდილებას და ეხმარებიან მოსწავლეებს შედეგების გაუმჯობესებაში. დირექტორის ბრძანებით შექმნილია ჯგუფი, რომელიც მონაწილეობას იღებდა თვითშეფასების ფორმის შევსების პროცესში.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია

6. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია წარმატებული პრაქტიკის აღიარების სხვადასხვა მექანიზმები. კათედრის დებულებით განსაზღვრულია კათედრის ფუნქციები, მათ შორის არის კათედრის წევრთა შორის გამოცდილების გაზიარება, წარმატებების წინაპირობათა განსაზღვრა და პრობლემების გადაჭრის გზების ძიება. სასკოლო კურიკულუმის შემუშავების პროცესში მნიშვნელოვანი იყო წარმატებული პრაქტიკისა და გამოცდილების გაზიარება.

ინდიკატორი 3.1.2.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- სკოლის შინაგანაწესი;
- თანამშრომელთა პირადი საქმეები;
- ბრძანება N2-40 - სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთის საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დამტკიცების შესახებ;
- ბრძანება N2-39 - სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცების შესახებ;
- შრომითი ხელშეკრულება;
- საკვალიფიკაციო მოთხოვნები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მე-9 მუხლი ეთმობა „თანამშრომლების პროფესიულ განვითარებას“ სადაც განერილია პერსონალის შეფასების ძირითადი მიზნები და პროცედურები. დებულება ითვალისწინებს პედაგოგების და ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის შეფასებას. მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებას ახდენს დირექტორის ბრძანებით შექმნილი მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერის ჯგუფი, რომელიც გარკვეული პერიოდულობით ესწრება გაკვეთილებს და გასცემს კონსტრუქციულ უკუკავშირს.

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და დირექტორის ბრძანებით განსაზღვრული ხარისხის მართვის ჯგუფის დებულებით დასტურდება, რომ სკოლას განსაზღვრული აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, პერსონალის საქმიანობის შეფასება წარმოადგენს სკოლის საკადრო პოლიტიკის განუყოფელ ნაწილს, შეფასების შედეგების საფუძველზე გამოვლენილი საჭიროებების შემდეგ მოხდება პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ღონისძიებების დაგეგმვა. კერძოდ, პროფესიულ განვითარებაზე ორიენტირებული ტრენინგებისა და საკონსულტაციო შეხვედრების ორგანიზება.

წარმოადგენილი პოლიტიკის დოკუმენტით სკოლა აცხადებს მზაობას, იზრუნოს სკოლის პერსონალის განვითარებაზე გამოვლენილი საჭიროებების მიხედვით. რამდენადაც ამ ეტაპზე სკოლა პირველადი ავტორიზაციის რეჟიმშია ამ ეტაპზე

ინდიკატორი ვერ ფასდება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, დასაქმებულს სკოლაში ეძლევა კარიერული წინსვლის საშუალება, კერძოდ საქმიანობის შეფასების შედეგების საფუძველზე პერსონალს ეძლევა დანიშნულების საშუალება. მასწავლებლის კარიერულ წინსვლას არეგულირებს “მასწავლებელთა პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის სქემა”. სკოლაში არსებული მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ეხმარება მასწავლებლებს პროფესიულ ზრდაში. კერძოდ მასწავლებლები თვითშეფასების საფუძველზე გამოკვეთილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასავითარებლად, ხარისხის ჯგუფის დახმარებით, დაგეგმავენ თავიანთ პროფესიულ განვითარებას.

ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და მასწავლებელთა ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დამტკიცების ბრძანება, გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.

ინდიკატორი 3.2.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლის წარმომადგენლებმა გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ ახალი თანამშრომლის ადაპტაციის მიზნით აცნობენ სასკოლო კულტურას, გარემოს, იმ დანერგილ და დაუწერელ წესებს, რომლებიც მოქმედებს სკოლაში, შემდგომ ხდება, ძირითადი მარეგულირებელი დოკუმენტებისა და ფუნქცია-მოვალეობების გაცნობა, სასკოლო საზოგადოებისთვის წარდგენა.

ინტერვიუზე დაყრდნობით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა ხელს უწყობს ახალი თანამშრომლის ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან. *სასურველია, სკოლამ დოკუმენტის სახით განეროს ახალი თანამშრომლის ადაპტაციის წესები და გავრცელებული ნორმები.*

ინდიკატორი 3.2.1.4 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

5. პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტით და სკოლის შინაგანაწესით წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. კერძოდ, შეფასების შედეგების შესაბამისად განსაზღვრულია თანამშრომლის წახალისების ფორმები: პრემია, მადლობის გამოცხადება, სიგელით დაჯილდოება, ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება და სხვა.

ინდიკატორი 3.2.1.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფის დამტკიცების ბრძანება;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;
2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადანაცვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს შემდეგი მარეგულირებელი დოკუმენტები: ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმი, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: დაგეგმვას, შემოწმებას (სკოლის ფილოსოფიის შესაბამისობა; კურიკულუმები, სწავლის/სწავლების პროცესის მიმდინარეობა და ხარისხი; აკადემიური პერსონალი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რომელიც გამოიყენება სასწავლო პროცესში; მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემა), ანალიზს, რეაგირებას და განვითარებას. კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელიც გულისხმობს, დაგეგმვა, განხორციელება, მონიტორინგი და შეფასება, გადასინჯვა და რევიზიის, ფაზების ყოველწლიურ მონაცვლეობას; სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია; პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელიც ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის უწყვეტ ციკლს.

წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ჩანს, რომ სკოლაში საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა დაეფუძნება პროცესულ მიდგომას და განხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სხვადასხვა დოკუმენტებში, კერძოდ სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, სკოლის შინაგანაწესი აღწერს საგანმანათლებლო საქმიანობის ძირითად პროცესებს. სტრატეგიული დაგეგმვა, სხვადასხვა კოლეგიური ორგანოების დებულებებით: დირექცია, პედსაბჭო და სამეურვეო საბჭო. აღწერილია მმართველობით პროცესები, ხოლო დამხმარე პროცესები აღწერილია: პერსონალის მართვის დოკუმენტით, ბიბლიოთეკის დებულებით, საქმისწარმოების ინსტრუქციებით, სასწავლო რესურსების სარგებლობის წესით, საზოგადოებასთან კომუნიკაციის სტრატეგიებით და სხვა ინსტრუმენტებით.

ინდიკატორი 3.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა. სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესი. მასწავლებლის დისციპლინური წარმოება, რომელიც ხორციელდება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით განსაზღვრული წესის შესაბამისად, მოიცავს გასაჩივრების მუხლს, დისციპლინური გადაწყვეტილების გასაჩივრება შესაძლებელია სამეურვეო საბჭოში.

სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულია სემესტრული ქულის ამაღლების წესი და პირობები, დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებული ხელშეკრულებების განუყოფელი ნაწილია სადავო საკითხების გასაჩივრების შესაძლებლობა.

ინდიკატორი 3.3.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლას შემუშავებული აქვს შინაგანაწესი, რომელიც განთავსებულია სკოლის საინფორმაციო დაფაზე და საჯაროდაა ხელმისაწვდომი. სკოლაში, ესგ-ს მოთხოვნების გათვალისწინებით ყველა კლასს ჰყავს დამრიგებელი, დამრიგებელს ევალება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეს და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენლს მათი უფლებების და მოვალეობების (სკოლის შინაგანაწესი, მოსწავლის ეთიკის კოდექსი, სასკოლო სასწავლო გეგმის შესაბამისი საკითხები და სხვ.) გაცნობა. დამრიგებელი სადამრიგებლო საათის ფარგლებში, ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით მოსწავლეებს აცნობს თავის უფლებებს და მოვალეობებს. დასაქმებულთან და მშობელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში დეტალურადაა გაწერილი მათი უფლება-მოვალეობები. სკოლის შინაგანაწესი წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს. ხელშეკრულებაზე ხელის მოწერით დასტურდება ხელშეკრულების და შინაგანაწესის გაცნობის ფაქტი. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტი.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კურკულუმის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- ბრძანება N2-37 - მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის უფლებების დაცვის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია სკოლის მისია, ხედვა, ღირებულებები, 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ვებ/გვერდის საკონტაქტო ბლოკში განთავსებული სკოლის მისამართი, მეილი, ტელეფონის ნომერი. შესაძლებელია ვებ/გვერდიდან წერილის მიწერა. სკოლა, სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას უზრუნველყოფს მშობელთა კრებების საშუალებითაც.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. ზოგადი განათლების კანონის შესაბამისად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, მრჩეველთა საბჭო, მოსწავლეთა თვითმმართველობა, პედაგოგიური საბჭო, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელთა ფუნქციები განსაზღვრულია კანონმდებლობით და უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ყველა რგოლის ჩართულობას სკოლის მართვაში.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- სკოლის ვებ-გვერდი;
- სტრუქტურული ერთეულების დებულებები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. უსაფრთხოების მიზნით, სკოლის პერიმეტრი შემოღობილია და დაცულია უცხო პირთა გადადგილება 24 საათის მანძილზე, რაზეც პასუხისმგებელია სკოლის 2 დარაჯი. ბრძანება N2-18-ით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირები.

სკოლა მცირეკონტიგენტიანია, შესაბამისად ჰყავს ერთი ექთანი. დასკვნის პროექტის მიხედვით, სამედიცინო კაბინეტის დათვალიერების დროს აღმოჩნდა, რომ სკოლა სრულყოფილად არ იყო აღჭურვილი იმ საჭირო ინვენტარით და ნივთით, რომელიც განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება №01-41/ნ-ით. კერძოდ, არ იყო: შირმა, კომპიუტერი, პულსოქსიმეტრი, მხედველობის შესამოწმებელი ცხრილი, კისრის ფიქსატორი, გადაუდებელი დახმარების ჩანთა, ბასრი სამედიცინო ნარჩენების კონტეინერი, შპადელი, სტერილური საფენები. ექთანს არ ჰქონდა სამედიცინო შემთხვევების აღრიცხვის ჟურნალი და მომსახურების სააღრიცხვო ფორმა. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა(09.10.2023-30.12.2023) და შპს „თბილისი მედიკთან“ გაფორმებული ხელშეკრულება.

დასკვნის პროექტის მიხედვით სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობის შესახებ. ვიზიტის პერიოდში სკოლამ წარმოადგინა 2022 წლის 7 ნოემბრის მიწერილობა N1043, რომლის მიხედვითაც განსაზღვრული იყო შენობის სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შესაბამისობაში მოსაყვანად საჭირო აქტივობები, რომელთა მცირე ნაწილი სკოლამ თავისი სახსრებით შეასრულა, თუმცა დარჩენილი იყო რიგი სამუშაოები, რომელთა განხორციელებისთვის სკოლას არ ჰქონდა საკმარისი ფინანსები, რის გამოც 2023 წლის 6 ივნისს მიმართა სკოლამ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პროექტირებისთვის საჭირო თანხის გამოყოფის მიზნით. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისი აკრედიტებული ორგანოს მიერ შემუშავებული პროექტი და ხარჯთაღრიცხვა, რომელიც გაგზავნილ იქნა შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში და აღნიშნული დაწესებულებიდან მიღებული წერილის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროექტი და ხარჯთაღრიცხვა შეესაბამება სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებს. ამის შემდეგ, 2023 წლის 6

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სექტემბერს კვლავ მიმართა სკოლის დირექტორმა ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს პროექტის განხორციელებისთვის საჭირო თანხის გამოყოფის მიზნით. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა(10.10.2023-10.10.2024) და 24.11.2023-ში გაგზავნილი წერილი სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სსიპ სახელმწიფო რეზერვებისა და სამოქალაქო უსაფრთხოების სერვისების სააგენტოში.

სკოლას აქვს დასკვნა შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოებაზე, რომელიც გაცემულია სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს მიერ, დასკვნაში მითითებულია, რომ სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთის საჯარო სკოლის შენობა-ნაგებობების ტექნიკური მდგომარეობა-მდგრადობა ვიზუალური დათვალიერებით დაკმაყოფილებულია.

დასკვნის პროექტის მიხედვით სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, რომელიც შეთანხმებული იქნებოდა შესაბამის ორგანოსთან და არ ფუნქციონირებდა საგანგებო შტაბი. ვიზიტის დროს სკოლამ გაგზავნა წერილი საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შემუშავების პროცესში დახმარების თხოვნით. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (09.10.2023-10.10.2024).

მიზანშეწონილია სკოლას ჰყავდეს სერტიფიცირებული შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი, რომელსაც გავლილი აქვს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის პროგრამა, აკრედიტებულ ორგანიზაციაში.

ამრიგად, სკოლა სრულყოფილად ვერ ქმნის უსაფრთხო გარემოს, რადგან არ აქვს შენობის სახანძრო უსაფრთხოების შესახებ დასკვნა, საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, შეთანხმებული შესაბამის უწყებასთან, სამედიცინო კაბინეტი არ არის აღჭურვილი პირველადი სამედიცინო დახმარებისთვის საჭირო ყველა ინვენტარით.

ექსპერტთა ჯგუფი 3.4.1.1 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს ინდიკატორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს (09.10.2023-10.10.2024).

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 3.4.1.1 მეტწილ შესაბამისობაშია.

2. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, შინაგანაწესით რეგულირდება სკოლაში დისციპლინური დევნის საქმისწარმოება, სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი შესაბამისი ორგანოს მიერ სერტიფიცირებული პირები. სკოლაში დირექტორის ბრძანების შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სკოლის ტერიტორიაზე, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. კონტროლდება სკოლის ტერიტორიაზე უცხო პირთა გადაადგილება, კარისკაცის/დარაჯის მიერ. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი უზრუნველყოფს თავისი სადამრიგებლო კლასის მოსწავლეების გაცდენების კონტროლს და შესაბამისი ღონისძიებების გატარებას. საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მორიგე მასწავლებლებიც.

ინდიკატორი 3.4.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნას. კერძოდ, სასკოლო კურიკულუმი და არაფორმალური განათლების ფარგლებში განხორციელებული აქტივობები, საგნობრივი კურიკულუმებით დაგეგმილი კომპლექსური დავალებები, სკოლის სადამრიგებლო პროგრამით გათვალისწინებული თემები. სკოლაში საზიარო სივრცეების არსებობა მოსწავლეებს ეხმარება სოციალიზაციის პროცესში. სკოლაში 55 მოსწავლეა, შესაბამისად თითოეულ მათგანზე მაქსიმალური ყურადღებაა მიპყრობილი. უნდა გავითვალისწინოთ ისიც, რომ სოფლის მაცხოვრებლები იცნობენ ერთმანეთს, რაც მასწავლებლებს უადვილებს მოსწავლეებთან თანამშრომლობას და მათ მხარდაჭერას.

ინდიკატორი 3.4.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას. რისთვისაც შემუშავებული აქვს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მექანიზმი, კერძოდ, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის მიზნით, სკოლაში საშტატო განრიგით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



განსაზღვრულია 2 დამლაგებელი, რომლებიც უზრუნველყოფენ სკოლის შიდა და გარე ფართის მოწესრიგებას. სანიტარიული კვანძის დასუფთავებისათვის განკუთვნილი სათანადოდ მარკირებული ინვენტარის შესანახად გამოყოფილია ცალკე ოთახი. ასევე, საყოფაცხოვრებო ქიმიის და სადებიზინფექციო საშუალებები, ინახება სპეციალურად ამ მიზნისათვის განკუთვნილ, ჩაკეტილ სათავსში, რომელზეც მარაგებზეც პასუხისმგებელნი არიან დამლაგებლები. სკოლას საპირფარეშო მდებარეობს სკოლის შენობისგან დამოუკიდებელ შენობაში. სველ წერტილებში დაცულია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმები. სველი წერტილები უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვის საშუალებებით: ქაღალდი, საპონი, ხელსახოცი, ნარჩენების კალათი. სკოლაში, სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვაზე მონიტორინგს ახორციელებს სკოლის ექთანი.

ინდიკატორი 3.4.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას შემუშავებული, „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესის“ შესაბამისად. აღნიშნული წესი მოიცავს: მონაცემთა დაცვის პრინციპებს, პერსონალური მონაცემების დამუშავებას, დამუშავებული მონაცემების გამოყენების მიზნებს, მოსწავლის პერსონალური მონაცემების დაცვას ელექტრონული პროგრამის (Teams) გამოყენებისა და ელექტრონული ჟურნალის წარმოების შემთხვევაში, განსაზღვრულია მონაცემებზე წვდომის უფლების მქონე პირები და მათი უფლებამოსილება. სკოლაში რეგისტრაციის დღიდან იწყება მოსწავლეთა მონაცემების დამუშავება და გრძელდება მთელი სასწავლო ცხოვრების მანძილზე.

ინდიკატორი 3.4.1.5 დაკმაყოფილებულია.

6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები. კერძოდ, სკოლის მიერ შემუშავებული „პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესში“ დეტალურადაა გაწერილი, სკოლის ვალდებულება უზრუნველყოს არსებული მონაცემების დაცვა შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან, ასევე დაიცვას ელექტრონული ინფორმაცია არაავტორიზებული წვდომის და დაზიანებისგან. სკოლა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული. პასუხისმგებელი პირი ვალდებულია ორგანიზება გაუწიოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ ტრენინგებს. ასევე, ვალდებულია პერსონალურ მონაცემთა დამუშავებასთან/დაცვასთან დაკავშირებით დარღვევების აღმოჩენის შემთხვევაში დაუყოვნებლივ აცნობოს სკოლის დირექტორს, შესაბამისი რეაგირების განხორციელების მიზნით.

7. სკოლის წარმომადგენლებმა ინტერვიუს პროცესში აღნიშნეს, რომ სკოლა ცდილობს ადამინებისა და პროცესების პერიოდულ შემოწმებას და შეფასებას.

ინდიკატორი 3.4.1.7 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;
- საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურში გაგზავნილი წერილი MES 1 23 0001330761, 09/10/2023;
- მიწერილობა N1043;
- წერილები ინფრასტრუქტურას სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან შენობის შესაბამისობისთვის საჭირო თანხის გამოსაყოფად - MES 7 23 0000648081, 06/06/2023 - MES 7 23 0001089487, 06/09/2023
- სახანძრო სისტემის პროექტი და ხარჯთაღრიცხვა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- წერილი შსს საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურიდან პროექტის შესაბამისობის შესახებ სახანძრო უსაფრთხოების ნორმებთან - MIA 2 23 02584607, 05/09/2023;
- ლ. სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ გაცემული შენობის მდგრადობის დასკვნა;
- ბრძანება N2-18 - უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;
- დამლაგებლის ვალდებულებები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტიგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთის საჯარო სკოლა მდებარეობს ბაღდათის რაიონის სოფელ ნერგეთი პირველი ქუჩა N10-ში. მიწის ნაკვეთის ზომა არის 4200 კვ. მ., რომელზეც განთავსებულია სკოლის ორი შენობა, საპირფარეშო, სპორტული მოედანი. შენობა-ნაგებობა სახელმწიფო საკუთრებაა და სკოლას გადაეცა უვადოდ კანონმდებლობით დადგენილი წესით. სკოლაში სულ არის 12 საკლასო ოთახი, რომელიც არის ნათელი და მოსწავლეთა რაოდენობის შესაფერისი ინვენტარითაა აღჭურვილი. სკოლის I შენობის პირველ სართულზე განთავსებულია 7 საკლასო ოთახია და სამედიცინო კაბინეტი. მეორე სართულზე 3 საკლასო ოთახი, სამასწავლებლო, კომპიუტერული ლაბორატორია, ბიბლიოთეკა, დირექტორის კაბინეტი. ხოლო მეორე შენობაში განთავსებული ორი საკლასო ოთახი, რესურსოთახი და სააქტო დარბაზი, რომელიც დახურული სპორტული დარბაზის ფუნქციას ითავსებს. სკოლაში არის 80 მერხი და ამდენივე სკამი. ვიზიტის პერიოდისთვის სკოლას ჰყავდა 53 მოსწავლე. მოცემული რესურსებით ვფიქრობთ სკოლა შეძლებს 80 მოსწავლის მომსახურებას. სამასწავლებლოში განთავსებულია მაგიდები, სკამები, ქსეროქსის აპარატი. სკოლას შედგენილი აქვს ბიბლიოთეკის დებულება, სადაც დეტალურად არის გაწერილი ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი, გაწერილია მუშაობის განრიგი და გამოკრულია თვალსაჩინო ადგილას. ბიბლიოთეკაში წიგნები განლაგებულია ანბანური თანმიმდევრობითა და ჟანრობრივი მახასიათებლების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიხედვით. სკოლაში ასევე არის ცალკე შენობა, რომელშიც განთავსებულია გოგონების და ბიჭების სველი წერტილები. არის გარე სპორტული მოედარი, რომელსაც არ აქვს მწვანე საფარი. სკოლის ეზო არის სუფთა, მოწესრიგებული, გამწვანებული და საშუალებას იძლევა ჩატარდეს სხვადასხვა კლასგარეშე თუ საკლასო აქტივობები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სკოლას არსებული ქონება გადაეცა უვადოდ, რაც იძლევა გარანტიას, რომ ავტორიზაციის ვადით უზრუნველყოფილია შესაბამისი ინფრასტრუქტურით და მატერიალური რესურსით.

ინდიკატორი 3.5.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის და იძლევა სხვადასხვა აქტივობების ჩატარებისა და დასვენების საშუალებას. სკოლაში არის საერთო სარგებლობის შემდეგი სივრცეები: კომპიუტერული ლაბორატორია, სააქტო დარბაზი, რომელიც შიდა სპორტული დარბაზის ფუნქციას ითავსებს (აღჭურვილი სათნადო ინვენტარით, კერძოდ, ფეხბურთის, კალათბურთის და რაგბის სხვადასხვა ზომის ბურთებით, კალათბურთის ფარებით, ტენისის მაგიდით და სხვა), ბიბლიოთეკა, რომელშიც არის სამკითხველო სივრცე. ბიბლიოთეკაში წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით, სსსმ მოსწავლეთათვის სპეციალური ოთახი (რესურსოთახი) და სამასწავლებლო.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. დასკვნის პროექტის მიხედვით სკოლის ეზოში იდგა ორი შენობა, ერთი ორსართულიანი, მეორე ერთსართულიანი. ორსართულიანი შენობის მეორე სართული არ იყო ადაპტირებული შშმ პირებისთვის, რაც ხელს შეუშლიდა საზიარო სამუშაო სივრცეების გამოყენებაში. სკოლის მეორე, პატარა შენობა, რომელშიც განთავსებულია რესურს ოთახი ადაპტირებული იყო. სკოლას არ ჰქონდა ადაპტირებული სველი წერტილი. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის მიწერილი წერილი (22.11.2023), საჭირო თანხით უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას და წარმოადგინილ შესაბამისობის გეგმას, რომელიც ითვალისწინებს ინსტრუქტორის შესაბამისობაში მოყვანის ვადებს(09.10.2023-09.10.2024), რისკებს(20%). ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 3.5.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოცო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას. სკოლის, როგორც გარე, ასევე შიდა სივრცეში არის სარეკრეაციო ზონები და თავისუფალი სივრცეები სხვადასხვა შემეცნებითი და სპორტული აქტივობების განსახორციელებლად. სკოლის ბიბლიოთეკა, სააქტო დარბაზი, სპორტული მოედნები, სკოლის ეზო მრავალფეროვანი ღონისძიებების ჩატარების საშუალებას იძლევა, რაც ასევე ხელს უწყობს მოსწავლეთა სოციალიზაციას და უზრუნველყოფს სკოლა ჩამოყალიბდეს ერთიან სოცო-კულტურულ სივრცედ.

ინდიკატორი 3.5.1.4 დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო მატერიალური და სასწავლო რესურსები.

დანყებიითი საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის (ისტ-ის მიმართულებით), მოწყობილია კომპიუტერული კლასი, სადაც განთავსებულია საკაბელო ინტერნეტით უზრუნველყოფილი კომპიუტერები.

სპორტის გაკვეთილებისთვის - შიდა და გარე სპორტული დარბაზი/სივრცე. სკოლას აქვს სპორტის გაკვეთილების განსახორციელებლად საჭირო მრავალფეროვანი სპორტული ინვენტარი.

კომპიუტერული კლასი - საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრული ციფრული რესურსების განხორციელებისთვის.

სამივე საფეხურის კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო წიგნადი ფონდი განთავსებულია სკოლის ბიბლიოთეკაში. შემუშავებულია ბიბლიოთეკის დებულება, სადაც გაწერილია ბიბლიოთეკაში ქცევის წესები. ბიბლიოთეკაში არის, როგორც გრიფირებული სახელმძღვანელოები, ასევე მხატვრული და შემეცნებითი ლიტერატურა, რომელიც დალაგებულია ანბანური თანმიმდევრობით. წიგნები დამონშებულია ბიბლიოთეკის ბეჭდით. ბიბლიოთეკაში არის კომპიუტერი, წიგნები აღრიცხულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საინვენტარო წიგნში. შემთხვევითი პრინციპით შერჩეული სახელმძღვანელოების დათვალიერებით დგინდება, რომ წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. სკოლას აქვს სხვადასხვა სახის თემატური თვალსაჩინოებები: რუკები, გლობუსები, პლაკატები, ცხრილები, მოდელები და სხვა საჭირო რესურსები.

ინდიკატორი 3.5.1.5 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ამონაწერი საჯარო რეესტრიდან;
- ბიბლიოთეკის დებულება;
- ფოტოსურათები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. ვიზიტის პერიოდში სკოლას ჰქონდა 3 პრინტერი და 1 ქსეროქსის აპარატი, 3 პროექტორი, 3 პერსონალური კომპიუტერი, 5 ლეპტოპი. სკოლაში არსებულ ყველა კომპიუტერზე ხელმისაწვდომია კაბელური ინტერნეტი. კათედრები აქტიურად იყენებენ ელექტრონულ რესურსებს სასწავლო პროცესში.

ინდიკატორი 3.6.1.1 დაკმაყოფილებულია

2. დასკვნის პროექტის მიხედვით რესურსებით სარგებლობა შეეძლოთ მოსწავლეებსა და მასწავლებლებს, თუმცა სკოლას არ ჰქონდა შემუშავებული მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი; არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი, რომელიც დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით N2-57.

ექსპერტთა შეფასებით ინდიკატორი 3.6.1.2 სრულ შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ფოტოსურათები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ წერგეთის საჯარო სკოლის მატერიალური და არამატერიალური რესურსებით ექსპლუატაციისა და სარგებლობის წესი;

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილია საქმის წარმოების წესი, რომელიც შესაბამისობაშია კანონმდებლობასთან. საქმისწარმოებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი, რომელიც ელექტრონულად აღრიცხავს და არეგისტრირებს სასკოლო დოკუმენტაციას. საქმისწარმოების მასალების შესწავლით დადგინდა, რომ სკოლაში საქმისწარმოება ხდება შესაბამისი ინსტრუქციების გათვალისწინებით. სკოლაში აქვთ 5 სახეობის მატერიალური ჟურნალი, შემოსული, გასული, საერთო ბრძანებების, პრობლემური ხელშეკრულებების და საკადრო ბრძანებების. ხუთივე შტამპდასმული და ზონარგაყრილია.

ინდიკატორი 3.6.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (Eflow). სკოლაში eSchool-ს სისტემის მეშვეობით ხდება ბაზაში მოსწავლეთა მობილობის, სტატუსის შეჩერების, ჩარიცხვა-

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ამორიცხვის და დასაქმებული პერსონალის პერსონალური ინფორმაციის ასახვა. სკოლას აქვს ელექტრონული ფოსტა, სადაც ხდება ზოგიერთი ინფორმაციის და დოკუმენტის მიიღება.

ინდიკატორი 3.6.2.2 დაკმაყოფილებულია.

3. ვიზუალური დათვალიერებით დგინდება, რომ სკოლას სრულად აქვს ასახული საჭირო ინფორმაცია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის საქმისმწარმოებელი უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. საქმისმწარმოების წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელი თავისი კომპეტენციის ფარგლებში აკონტროლებს დოკუმენტებზე რეაგირების ვადების დაცვას.

წარმოდგენილი მასალების დათვალიერებით დგინდება რომ, სკოლა ეფექტურად თანამშრომლობს საგანმანათლებლო საქმიანობის უწყებებთან და აწვდის დროულ უკუკავშირს.

ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საქმისმწარმოების წესი;
- სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრალობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას აქვს ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, სოციალური ქსელი და ელექტრონული ფოსტა, რომლებიც ასრულებენ საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. კერძოდ, საკომუნიკაციოდ მასზე განთავსებულია საკონტაქტო ინფორმაცია და იძლევა დანესებულებასთან ინტერნეტით კომუნიკაციის შესაძლებლობას. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით ვებ-გვერდზე და სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია ინფორმაცია დანესებულების საქმიანობისა და მის მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ.

ინდიკატორი 3.6.3.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას. კერძოდ, სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეთა ჩარიცხვის და გამოცდების ჩატარების წესი და პროცედურები. ფეისბუქგვერდზე განთავსებულია სასკოლო აქტივობების დამადასტურებელი მასალები. ვებ-გვერდის და ფეისბუქგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირია სკოლის დირექტორი და საქმისმწარმოებელი, რომელიც უზრუნველყოფს ზუსტი და სანდო ინფორმაციის გავრცელებას.

ინდიკატორი 3.6.3.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლას შემუშავებული აქვს საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი, სადაც განწერილია მოსწავლის მშობელთან, თანამშრომლებთან, მოსწავლეებთან კომუნიკაციის სტრატეგიები. სკოლის სოციალური ქსელი იძლევა უკუკავშირის მიღების საშუალებს, კერძოდ შესაძლებელია წერილის მიწერა, ასევე ვებ-გვერდზე არის ელ.ფოსტის მისამართი და გამოქვეყნებულია სკოლის ტელეფონის ნომერიც.

ინდიკატორი 3.6.3.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 დაკმაყოფილებულია

5. დასკვნის პროექტის მიხედვით სკოლას ვიზიტის პერიოდში მიეცა რეკომენდაცია ვებ-გვერდის შესაბამის გვერდზე განთავსებინა ინდიკატორის შესაბამისი დოკუმენტები, სკოლამ სრულყოფილად ვერ ატვირთა აღნიშნული. სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული იყო შემდეგი ინფორმაცია: მისია, ხედვა, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული განვითარების გეგმა, ერთწლიანი სამოქმედო გეგმა. ამასთანავე, უნდა ყოფილიყო განთავსებული შემდეგი ინფორმაცია: პროგრამების სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, საკონტაქტო ინფორმაცია. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (10.10.2023-10.11.2023) და დირექტორის ბრძანება N2-56 ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის შესახებ.

ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლის ვებ-გვერდს და 3.6.3.5 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას.

ინდიკატორი 3.6.3.5 სრულ შესაბამისობაშია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი;
- საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესი;~

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტი, რომელიც განხილული და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოზე. სკოლის დირექტორის წლიური ფინანსური ანგარიშით დგინდება, რომ ბიუჯეტი შემუშავებულია რეალური გათვლებისა და გაანგარიშების საფუძველზე, როგორც შემოსავლების ასევე ხარჯვით ნაწილში. დირექტორის განმარტებით, ბიუჯეტის შემუშავების დროს გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. თითოეული სტრუქტურა, სკოლის დირექციას სამსახურებრივი ბარათით აწვდის ინფორმაციას მომავალი წლისთვის საჭირო შესასყიდის შესახებ. სკოლას ბიუჯეტის დაგეგმვისას გათვალისწინებული აქვს ერთწლიანი სამოქმედო გეგმით გაანსაზღვრული რესურსების შეძენა.

ინდიკატორი 3.7.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლას აქვს ფინანსური რესურსების დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის სისტემა. სკოლის ბიუჯეტს შეიმუშავებს ბუღალტერი წინა წლის ბიუჯეტის ანალიზის, სავარაუდო შემოსავლებისა და ხარჯების გათვალისწინებით და წარუდგენს დირექტორს. დირექტორს საჭიროების შემთხვევაში შეაქვს ცვლილება და მომზადებულ ბიუჯეტის გეგმის პროექტს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს წევრებს განსახილველად. მოწოდებული რეკომენდაციების და შენიშვნების კორექტირების შემდეგ უკვე ხდება მისი დამტკიცება სამეურვეო საბჭოზე და ფორმდება ოქმი. საჭირო ცვლილებების შეტანის შემთხვევაში კვლავ ხდება სამეურვეო საბჭოს მოწვევა და ბიუჯეტის კორექტირებული გეგმის დამტკიცება. ყოველი წლის ბოლოს სკოლის დირექტორი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სამეურვეო საბჭოს წარუდგენს წლიური ბიუჯეტის ანგარიშს, სადაც ხდება სამეურვეო საბჭოს წევრებისთვის, დაგეგმილი ბიუჯეტის შემოსავლებისა და ხარჯვითი ნაწილის დეტალური გაცნობა.

ინდიკატორი 3.7.1.1 დამაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საპროგნოზო ბიუჯეტი;
- სამეურვეო საბჭოს ოქმი N6;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;
2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული აქვს შიდა რეგულაციები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვას. კერძოდ, სკოლის შინაგანაწესში გაწერილი ინფორმაცია მოსწავლის დისციპლინური გადაცდომის, პასუხისმგებლობის სახეების, დისციპლინური წარმოების წესისა და წახალისების შესახებ. სკოლაში არის დისციპლინური კომიტეტი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს, სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი, რომელშიც დეტალურად არის გაწერილი როგორ ხდება მოსწავლეთა უფლებების დაცვა სხვადასხვა შემთხვევაში. მოსწავლეთა უფლებებსა და ძირითად გარანტიებს არეგულირებს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც განსაზღვრულია შემაჯამებელი დავალებების აღდგენის წესი, მოსწავლეთათვის ქვიზებისა და გამოცდების ჩატარებისა და გასაჩივრების წესები, სემესტრული და ექსტერნის გამოცდის ჩატარების მექანიზმები, ინკლუზიური განათლების რეგულაციები, მათ შორის ისგ შემუშავებისა და შინ სწავლების პირობები. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია მოსწავლესა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს მიეწოდოს ინფორმაცია გაცდენებისა და მოსალოდნელი ექსტერნის გამოცდების შესახებ. სკოლაში, დირექტორის ბრძანებით შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომელიც შეიმუშავებს რეკომენდაციებს სასწავლო პროცესის უსაფრთხოების შესახებ. სკოლას ასევე ჰყავს, უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაზე პასუხისმგებელი პირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.1.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. დამრიგებლის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლის შიდა სივრცეში გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი და წესრიგის დაცვის უზრუნველყოფისთვის საჭირო საკონტაქტო ინფორმაცია.

ამდენად, სკოლის მიერ შემუშავებული შიდა რეგულაციები შემუშავებულია კანონმდებლობის სრული დაცვით, არის მარტივად აღსაქმელია, ხოლო განერილი წესები და პროცედურები გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია საჯაროდ საინფორმაციო დაფაზე და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 4.1.1.2 დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული აქვს კანონმდებლობის შესაბამისი ხელშეკრულებები, რომელიც მოიცავს ინფორმაციას, სკოლის საქმიანობის, მხარეთა უფლებებისა და მოვალეობების, სასწავლო, დასვენების, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადის, შეწყვეტის წესისა და სხვა დამატებითი პირობების შესახებ.

ინდიკატორი 4.1.1.3 დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის შინაგანაწესი;
- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- თვითმმართველობის დებულება;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება.
- ბრძანება N2-46 - პერსონალური მონაცემების დაცვის წესის დამტკიცების შესახებ;

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით, სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სოფელ ნერგეთის საჯარო სკოლას შემუშავებული აქვს „მოსწავლის ჩარიცხვის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და აღდგენის წესი“. მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასება და საფეხურის დაძლევის შესახებ ინფორმაცია მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში. სკოლა, მოსწავლეთა სტატუსის შეჩერებასთან დაკავშირებით ეყრდნობა მოქმედ კანონმდებლობას. მოსწავლეთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გაკვეთილებზე დასწრებას მონიტორინგს უკეთებს კლასის დამრიგებელი. სკოლაში არსებობს პასუხისმგებელი პირი, საქმისმწარმოებელი, რომლის ვალდებულებაა აწარმოოს მოსწავლეთა მოძრაობის აღრიცხვა სკოლის ელექტრონულ მონაცემთა ბაზაში.

ინდიკატორი 4.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. მართვის საინფორმაციო სისტემის Eschool დათვალიერებით დადგინდა, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება კანონმდებლობის შესაბამისად მიმდინარეობს.

ინდიკატორი 4.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შინაგანაწესს და სასკოლო სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისშივე ხდება მოსწავლისა და მისი მშობლების ინფორმირება მოსწავლის მიერ გაკვეთილების გაცდენის შემთხვევაში მოსალოდნელი საფარაუდო შედეგების შესახებ; იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლის ნიშანები საშუალოზე დაბალია, დამრიგებელი ვალდებულია, გააფრთხილოს მშობელი და მოსწავლე იმის შესახებ, რომ სასწავლო წლის ბოლომდე (ან მომდევნო სასწავლო წელს) აუცილებელია მნიშვნელოვანი პროგრესის მიღწევა, რათა მოსწავლემ შეძლოს საფეხურის წარმატებით დაძლევა. დამრიგებელი ვალდებულია შეხვდეს დაინტერესებულ მშობელს და მიაწოდოს ინფორმაცია მისი შვილის აკადემიური მოსწრების, ქცევისა და გაცდენების შესახებ. მშობლებთან გაფორმებული ხელშეკრულება მოიცავს ორივე მხარის უფლება-მოვალეობებს. საინფორმაციო დაფაზე გამოკრულია სკოლის შინაგანაწესი, სასკოლო კალენდარი, დღის რეჟიმი, სკოლის საკონტაქტო ინფორმაცია და ტელეფონის ნომრები, რაც უკავშირდება უსაფრთხოების უზრუნველყოფას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქედან გამომდინარე დასტურდება, რომ სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები, პირობები და პროგრამები, მათი სპეციფიკის გათვალისწინებით და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი.

ინდიკატორი 4.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. დამრიგებლების საშუალებით მშობელს შეუძლია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია საკუთარი შვილისა და სკოლის სერვისების შესახებ. სასკოლო სასწავლო გეგმის თანახმად, დამრიგებელი ვალდებულია მშობლებს შვილის აკადემიური მოსწრების და ყოფაქცევის საკითხები ინდივიდუალური შეხვედრების დროს გააცნონ.

ინდიკატორი 4.1.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- სსიპ ბაღდათის მუნიციპალიტეტის სიფელ ნერგეთის საჯარო სკოლის მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერება-აღდგენის წესი;
- დამრიგებლის მუშაობის დებულება/სადამრიგებლო პროგრამები;

შეფასება:

- *კოხლოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშეწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა, ყველა ახალგაძმოსულ მოსწავლეს უწევს დახმარებას სასკოლო გარემოსთან ადაპტაციის მიზნით. აღნიშნულ პროცესს ხელმძღვანელობს კლასის დამრიგებელი, რომელიც ეცნობა მოსწავლის პირად საქმეს, ხვდება მშობელს, აგროვებს ინფორმაციას მოსწავლის მიღწევებსა თუ თავისებურებებზე. სკოლის ადაპტაციის მექანიზმი ითვალისწინებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თითოეული მოსწავლის სწავლისთვის მზადყოფნის დადგენას, რაც მოიცავს სამ სფეროს: ფიზიკურს, ფსიქოლოგიურსა და პიროვნულს.

სსსმ მოსწავლის სასკოლო გარემოში ადაპტაციის მექანიზმები გაწერილია „სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციის“ დოკუმენტში და არის სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილი.

ინდიკატორი 4.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის თანამშრომლებთან ინტერვიუებით დგინდება, რომ სკოლის მიერ შემუშავებული მექანიზმები ხელს უწყობს სწავლის დაწყების მომენტიდან მოსწავლეთა ადაპტაციას ახალ სასწავლო გარემოსთან. კერძოდ, დამრიგებლები გამოიყენებენ ანკეტირებას და კითხვარებს მშობლებისთვის, მასზე დაყრდნობით წარიმართება ურთიერთობა მშობელთან და მოსწავლეებთან და დაიგეგმება განსახორციელებელი აქტივობები.

ადაპტაციის პროცესში მნიშვნელოვანია დამრიგებლისა და საგნის მასწავლებლების კომუნიკაცია მოსწავლის მშობელთან. სსსმ მოსწავლის შემთხვევაში შექმნილია ისგ ჯგუფი, რომელიც მუშაობს მოსწავლეთა ტრანზიციის მიმართულებითაც. ამგვარად, სკოლას აქვს მზაობა, უზრუნველყოფს მოსწავლეების უმტკივნეულო ადაპტაციის პროცესის მართვა.

ინდიკატორი 4.2.1.2 დაკმაყოფილებულია

3. დამრიგებლის დებულებით განსაზღვრულია დამრიგებლის ვალდებულებები, გააცნოს მოსწავლეს/მშობელს სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილია აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მექანიზმები. კერძოდ, სემესტრის მიმდინარეობისას და დასასრულს, კლასის დამრიგებლები ვალდებული არიან ინდივიდუალურად მიაწოდონ მშობლებს ინფორმაციას შვილის აკადემიური მოსწრების შესახებ. საჭიროების შემთხვევაში აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით ტარდება სემესტრული და საშემოდგომო გამოცდები, დამატებითი ქვიზები. აღნიშნულთან დაკავშირებით ხდება მშობლების ინფორმირება დამრიგებლის მიერ.

ინდიკატორი 4.2.1.3 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. სკოლა მოსწავლეს დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით. კერძოდ, სასკოლო სასწავლო გეგმა წინასწარ განსაზღვრავს სკოლაში წლიური, სემესტრული, ექსტერნისა და საშემოდგომო გამოცდების ჩატარების წესებსა და პირობებს, ასევე მობილობის შეწყვეტის და განახლების ვადების, ექსტერნატის წესით კლასის/კლასების დაძლევის წესებს. სასკოლო სასწავლო გეგმის გაცნობას წლის დასაწყისში უზრუნველყოფს დამრიგებელი. იგი, ასევე საჭაროდაა ხელმისაწვდომი სკოლის საინფორმაციო დაფაზე. სკოლა მხარს უჭერს მოსწავლეთა ინიციატივებს, ეხმარება ღონისძიებების ჩატარებაში და უცხადებს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას.

ინდიკატორი 4.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლაში ფუნქციონირებს და მომავალშიც გააგრძელებს მუშაობას შემდეგი კლუბები და წრეები: მათემატიკის წრე, მკითხველთა კლუბი, ნორჩ ჟურნალისტთა კლუბი, ინგლისური ენის კლუბი „Speakers“.

სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმები სხვადასხვა ორგანიზაციებთან. კერძოდ: აკაკი წერეთელის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, რომლის ფარგლებშიც ხდება სკოლის ბაზაზე სტუდენტთა პრაქტიკის გავლა. ასევე, სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯ „იბერიასთან“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ეცნობიან შემდეგ პროფესიებს: ჭრა-კერვა, კომპიუტერული პროგრამები, მეფუტკრეობა.

ინდიკატორი 4.2.1.5 დაკმაყოფილებულია

6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუწყობს მოსწავლეთა მომსახურებას. მუდმივად ეცნობიან დაინტერესებული მხარეების მოსაზრებებს. კერძოდ, სკოლაში გასულ წლებში იყო კლასკომპლექტები, მშობელთა თხოვნის საფუძველზე ადმინისტრაციამ გადაწყვიტა კლასკომპლექტები გაეუქმებინა.

ინდიკატორი 4.2.1.6 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-2024;
- ბრძანება 2-37 - საზოგადოებასთან კომუნიკაციის წესის დამტკიცების შესახებ;
- კლუბის დებულება;

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს განეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

მოსწავლეებისათვის სკოლა უზრუნველყოფს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის კუთხით ინფორმაციის ხელმისაწვდომობას. სკოლას გაფორმებული აქვს მემორანდუმი კოლეჯ „იბერიასთან“, რომლის ფარგლებშიც მოსწავლეები ეცნობიან სხვადასხვა პროფესიებს: ჭრა-კერვა, კომპიუტერული პროგრამები, მეფუტკრეობა. პროფორიენტაციის კუთხით კლასის დამრიგებლები მოსწავლეებს აწვდიან ინფორმაციებს სხვადასხვა პროფესიებზე, უყვებიან კოლეჯებზე, პროფესიულ სასწავლებლებსა და უმაღლეს დაწესებულებებზე (რა ტიპის სპეციალობებია, რა ფაკულტეტებია, მიღების როგორი წესები აქვთ, რა ტიპის კონკურსების გავლა მოუწევთ და სხვა), აცნობენ დაწესებულებების ჩამონათვალს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 4.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა მოსწავლეებს და მათ მშობლებს აწვდის სანდო და განახლებულ ინფორმაციას კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით. მოსწავლეებისათვის პროფესიების გაცნობაში ჩართულნი არიან თავად სკოლის მშობლებიც.

ინდიკატორი 4.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლაში კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით განხორციელებული აქტივობები ითვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს. სკოლას აქვს კარგი პრაქტიკა მხარი დაუჭიროს მოსწავლეების მიერ ინიცირებული პროექტებს, მიიღოს მათგან უკუკავშირი და გამოიყენოს მომდევნო წლის აქტივობების დასაგეგმად.

ინდიკატორი 4.2.2.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი კოლეჯი „იბერია“.
- მემორანდუმი ა. წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტთან.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს სსსმ მოსწავლისათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაცია, სადაც განერილი სსსმ და შშმ პირის ტრანზიციის დანერგვის მექანიზმები. ასევე, კონფიდენციალური და ეთიკური პრინციპების დაცვის ვალდებულებები მხარეებთან ურთიერთობის დროს.

სასკოლო სასწავლო გეგმაში განერილია ინკლუზიური განათლების ხელშეწყობი მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის წესები და პრინციპები; სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების, გაცდენების აღრიცხვისა და დასწრების წესი. სსსმ მოსწავლეების შინ სწავლებისა და მათი წახალისების მექანიზმები. ნიმუშის სახით წარმოდგენილია ისგ-ს ფორმა. შექმნილია შიდა მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც ამზადებს შიდა მონიტორინგის დასკვნას და გასცემს რეკომენდაციებს.

ინდიკატორი 4.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლა უზრუნველყოფს ინკლუზიური განათლების შესახებ სასკოლო საზოგადოების ინფორმირებულობას და ჩართულობის დონის ზრდას. სსსმ მოსწავლეებისათვის სკოლაში გამოყოფილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი რესურს ოთახი შესაბამისი აღჭურვილობით.

სკოლას შემუშავებული აქვს ტრანზიციის გეგმა, სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისების მიწოდების რეგულაციები და სასწავლო წლის დასაწყისში სკოლის ინკლუზიური განათლების მხარდამჭერი ჯგუფი გეგმავს სხვადასხვა აქტივობებს სსსმ მოსწავლეების უმტკივნეულო ტრანზიციის მიზნით. სსსმ მოსწავლეთა განვითარებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი: საგნის მასწავლებელი, დამრიგებელი, მშობელი, სპეც. მასწავლებელი. ისინი თანამშრომლობენ და მუდმივ კომუნიკაციაში არიან ერთმანეთთან. ურთიერთთანამშრომლობის საფუძველზე იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმები,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სადაც მაქსიმალურადაა გათვალისწინებული მოსწავლის საჭიროება და შესაძლებლობები. ისე ჯგუფი შეხვედრებზე განიხილავს მოსწავლის საჭიროებებს და ერთობლივად გეგმავს საქმიანობას.

ინდიკატორი 4.2.3.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ისე ჯგუფის შექმნის ბრძანება;
- სკოლის ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
- მულტიდისციპლინური გუნდის დასკვნა;
- ისე სხდომის ოქმი N3;
- ინდ გეგმები.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებელით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);
2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლა მოსწავლეებს სთავაზობს შემდეგ უფასო მომსახურებებს კლუბებისა და წრეების სახით: მათემატიკის წრე, მკითხველთა კლუბი, „speakers“, ნორჩ-ჟურნალისტთა კლუბი, აბიტურიენტების დახმარების პროგრამა.

ინდიკატორი 4.2.4.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული ყველა დამატებითი არასავალდებულო ხასიათის მომსახურების განწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპის დაცვით, სკოლა აწვდის დაინტერესებულ მხარეებს ინფორმაციას აღნიშნული მომსახურებების შესახებ.

ინდიკატორი 4.2.4.2 დაკმაყოფილებულია

3. ყველა მომსახურება, რომელსაც სკოლა სთავაზობს მოსწავლეებს ხორციელდება სკოლაში არსებული უსაფრთხოების ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლეთა საუკეთესო ინტერესებს. სკოლის მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული მომსახურებები არის კანონმდებლობის შესაბამისი და უსაფრთხო.

ინდიკატორი 4.2.4.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ვებ-გვერდი;
- მემორანდუმი აკაკი წერეთლის უნივერსიტეტთან და კოლეჯ „იბერიასთან“

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



- კლუბების შესახებ.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (დანწყებითი საფეხურის კურიკულუმი)	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო

პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმად შემდეგ საკითხებზე: 1. რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული); 2. რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად; 3. რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად; 4. რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში; 5. რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. შესწავლილი დოკუმენტაციის თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარე; მასწავლებლები სამუშაო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის ანალიზის საფუძველზე; ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. კათედრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ კურიკულუმები შედგა ერთობლივი, კოლეგიალური მუშაობის საფუძველზე, კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რაც თითოეული მათგანის ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება. საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ გადაიხედა თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები; საგნობრივი პროგრამის მიხედვით, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე განისაზღვრა სავალდებულო თემების ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. მასწავლებელი გამოხატავს მზაობას, როგორ უნდა მოხდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევა მოკლევადიან მიზნებზე დაფუძნებით. შეირჩა რესურსები, თუმცა როგორც ირკვევა, ძირითად რესურსად სახელმძღვანელო გამოიყენება. ელექტრონული რესურსის გამოყენება ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ინტერნეტის ხარვეზით მიწოდების გამო. მოსწავლეები ეცნობიან სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს ეძლევათ ინფორმაცია განსახორციელებელი კომპლ.დავალებების შესახებ მშობელთა კრებაზე. გათვალისწინებულია მათი უკუკავშირი.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია ყველა კლასში. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. კურიკულუმს თან ახლავს დანართის სახით კომპლექსური დავალების ბარათი და შეფასების განმავითარებელი რუბრიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, ხორციელდება პროექტი-პირადი ჰიგიენა, ჩემი უფლებები და მოვალეობები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, ისეთი საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებასა და ისეთ რეგულაციებს, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს. თუმცა, რუსული ენის V და VI კლასის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებს არ ახლავს მოსწავლეზე მორგებული დამატებითი რესურსები (კონტექსტ-მაგალითების და მაგალითები შედარებისთვის), სადაც ნათლად გამოჩნდება მათზე ორიენტირებული დაგეგმვის შინაარსი.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულუმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა. გაწერილია თემები ყველა თავისი სამიზნე ცნებებითა და საჭირო რესურსებით. კურიკულუმის ჩარჩოში გაწერილია კომპლექსური დავალებები თავისი ბარათებითა და შეფასების რუბრიკებით. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს, რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.). გასაუბრებისას პედაგოგები ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრები მზად არიან კვლავ გააგრძელონ კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე მუშაობა. თუმცა, V-VI კლასების რუსულ ენაში მიმდინარე წლის კურიკულუმში ბუნდოვანია, რა ფორმით მოხდება სამიზნე ცნებების თემის ფარგლებში დამუშავება კომპლექსური ტიპის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დავალებებში. სასურველია რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოზე მუშაობისას გამოიკვეთოს როგორ დამუშავდება სამიზნე ცნებები კონკრეტული თემის ფარგლებში პროექტული ტიპის/კომპლექსური დავალებების განხორციელების შემთხვევაში.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი პოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გეგმა და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. მასწავლებლები სასწავლო პროცესში, ასევე, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეფასებასა და თვითშეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია.

4. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკები, სოლო ტაქსონომიის სხვადასხვა დონეზე შეფასებული შესაბამისი კომენტარით. ასევე საკლასო აქტივობის, ჯგუფური მუშაობის და სხვადასხვა აქტივობები. სკოლას უტარდებოდა შეხვედრები საგნობრივ ექსპერტებთან, სადაც განიხილავდნენ შეფასების რუბრიკებსაც, როგორც

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომავალში ამ რუბრიკების დახვეწაზე იმუშებენ და გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. დასკვნის პროექტის მიხედვით უცხოური ენის კათედრამ პირველადი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა **განმსაზღვრელი შეფასების** პოლისტური ხასიათის რუბრიკები, რომელიც არ იყო შესაბამისობაში ესგ სტანდარტით მისაღწევ გრძელვადიან შედეგებთან და არ აზუსტებდა იყო თუ არა ეს რუბრიკა 2023-2024 სასწავლო წლისთვის შედგენილი. შესაბამისად, გამოვითხოვეთ დოკუმენტი, რომელიც დააზუსტებდა შესაბამისობას აღნიშნულ მოთხოვნებთან. დაწესებულებამ წარმოადგინა სემესტრული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა უცხოური ენის სწავლების ყველა მიმართულებით (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი, გრამატიკა), თუმცა შესაბამისობა ისევ არ იკვეთებოდა (სტანდარტით მისაღწევი თითოეული სამიზნე ცნების შედეგების ინდიკატორებთან შესაბამისობით). აგრეთვე, უცხოური ენის კათედრას არ ჰქონდა წარმოდგენილი **განმავითარებელი შეფასების** რუბრიკების ნიმუშები, რომლითაც დგინდება, რამდენად ორიენტირებულად წარიმართება სამიზნე ცნებების მიმართებით მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბება. უცხო ენაში დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შესაბამისობაში იქნებოდა სასწავლო თემების ფარგლებში სამიზნე ცნებების შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა უცხო ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, რომლებიც სასწავლო თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიღწევის შედეგების ინდიკატორებთან შესაბამისია.

ექსპერტთა ჯგუფი 2.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას
ინდიკატორი 2.1.2.4 სრულ შესაბამისობაშია.

5. კურიკულუმის დაგეგმვისას მასწავლებელი მეტნაკლებად ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას და შედეგებს. გათვალისწინება ძირითადად ხდება კომპლექსურების მიმართულებით თუ რის განხორციელებას შეძლებენ ბავშვები, რა საფუძველი და რა რესურსები აქვთ ამისათვის. რაც შეეხება ანალიზს, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალი ფორმები, რომელიც მოიცავს შედეგების ანალიზსაც, ჯერ არ არის დანერგილი სკოლაში, თუმცა პედაგოგები იცნობენ ოთხივე ინსტრუმენტს სადიაგნოსტიკო შეფასებისას და გეგმავენ ერთ-ერთი (კომპლ. დავალებებზე დაფუძნებული) ინსტრუმენტის გამოყენებას ამ მიზნით.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- საგნობრივი პროგრამები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების წლიური ანგარიში ;
- ურთიერთდასწრების უკუკავშირი;
- სამუშაო შეხვედრის რეფლექსია;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინდ. გეგმა;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და შედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ, გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს. სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, რომლის წესდება და სამუშაო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. შედაგოგები საგნობრივ ოქმებში, გასაუბრების პროცესში აფიქსირებენ ამ აქტივობების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვისთვის. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება და მუშაობისას უფრო კომპლექსურად უდგებიან კომპლექსური დავალებების დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

პროცესში ასახვენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. ცდილობენ, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. თუმცა, უცხო ენაში წარმოდგენილ თემებს აკლია კომპლექსური ტიპის აქტივობები/დავალებები, ასევე არ არის დაგეგმილი სასწავლო და საგანმანათლებლო პროექტები, რათა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მაქსიმალურად გამოიკვეთოს.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია.

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და მათ ფარგლებში განსახილველი საკითხები ისე გაწერილი, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, გააზრებაში და კონსტრუირებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და შედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით იღებენ ახალ გამოცდილებებსა და სწავლობენ, ეუფლებიან ახალ უნარ-ჩვევებს. ამ მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი. შედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განხორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენცია. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე და მათი მხრიდან წარმოდგენილია მოსწავლის თვითშეფასების ბარათის ნიმუშები შესრულებული დავალებების ანალიზზე: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ თვითშეფასება, რომელიც უადვილებთ მათ მეტაკოგნიტურ პროცესებს. მეტაკოგნიციაზე აქცენტი ისახება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში.

ინდიკატორი 2.2.1.3 დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები ყველა კლასისთვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ტრანსფორმაციაში. კურიკულუმებში განერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ კომიქსად, იგავად, წერილად და ა.შ. ასევე ახორციელებენ აქტივობებს მაგ. ინტელექტუალურ თამაშებს რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითარებას. კურიკულუმებში განერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. კურიკულუმებში განერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები ქმნიან კომიქსებს, წერილებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დღიურებს, აგრძელებენ სიუჟეტს, თხზვენ ამბავს ნახატის მიხედვით, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. მასწავლებლები ამ მიმართულებით აქტიურად ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში.

2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით. მაგალითად, უცხო ენაში მეხუთე კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალება საკითხით: წერილობითი ანგარიში თემაზე - ქართველი და ბრიტანელი მოზარდების თავისუფალი დროის აქტივობები. აღნიშნული დავალება წარმოადგენს სხვადასხვა საკითხების ურთიერთდაკავშირებულად და ინტეგრირებულად სწავლის საშუალებას. თუმცა, რუსული და ინგლისური ენის კურიკულუმებში არ იკითხება და ინტერვიუს პროცესშიც დადასტურდა, რომ საგანთაშორისი-ინტეგრირებული აქტივობები/პროექტები არაა დაგეგმილი, რათა უფრო გამთლინებულად და ჰოლისტურად მოხდეს სასწავლო საგნების ურთიერთდაკავშირება. სასურველია უცხოური ენის კათედრაზე დაიგეგმოს და განხორციელდეს საგანთაშორისი აქტივობები და/ან პროექტები, რათა მოხდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;
- კომპლექსური დავალება;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

- მკითხველთა კლუბის წესდება და სამუშაო გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____



საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართებები სწორია. მნიშვნელოვანია, რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები გააზრებულია მიზანზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლაში მკითხველთა კლუბი, რომელიც, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია ურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტენტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რაც ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კლუბებში გაერთიანება და არაფორმალურ განათლებაში ჩართვა მოსწავლეებში ემპათიის გრძნობას ზრდის. სკოლაში ამ მხრივ დიდი ფუნქცია ეკისრება დამრიგებელს და მის მუშაობას. ამ მიმართულებით დამრიგებლის როლი დიდია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტით: ა) მიმდინარე საკლასო დავალება. ბ) მიმდინარე საშინაო დავალება. გ) შემაჯამებელი დავალება. მასწავლებელს უფლება აქვს განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიით. მასალებში წარმოდგენილია მოსწავლეთ შეფასების რუბრიკები, ძირითდად სოლო ტაქსონომიის სახით წარმოდგენილი, სადაც მოსწავლეები შეფასებული იყო სხვადასხვა დონეზე და ქონდა შესაბამისი განმავითარებელი კომენტარი რაც იძლევა იმის საფუძველს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის კათედრა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გეგმავს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელით მუშაობას, ხოლო სადიაგნოსტიკო ტესტებს შეამოწმებენ პირველი ინსტრუმენტის საშუალებით. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, გააანალიზებენ და მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისათვის.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს და ახალი სასწავლო წლისთვისაც არჩეულია, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემის პირველი მოდელი, შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ექსპერტების მიერ მოწოდებული ნიმუშის მიხედვით. აღსანიშნავია კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალეობას და ვალიდურობას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით და მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაღრმავების და კათედრაზე შემუშავების თაობაზე.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც დაამტკიცა ვიზიტის პერიოდში ბრძანება N2-47-ით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს პროცესის, მტკიცებულების და შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6. კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ჟურნალს. ამასთანვე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: _____
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: _____

განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოს საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს. მათ ერთობლივად განიხილეს და შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო, მსჯელობენ და ქმნიან შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე დასწრების ფორმებს.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობა სრულ შესაბამისობაშია რეალობასთან, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. თითოეული წვრილმანი ადასტურებს, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, ვინაიდან დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფალნი არიან.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის სტრუქტურული ერთეულები, ჩანს, მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. სასწავლო გეგმები იქმნება კათედრაზე ერთობლივად მიღებული გადანყვეტილებების საფუძველზე. კათედრის წევრები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. ჩანს, რომ იცნობენ ერთმანეთის სამოქმედო გეგმებს. კურიკულუმი, საკლუბო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საქმიანობა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და კათედრების ანგარიშები, სადამრიგებლო საათი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლა მცირეკონტიგენტიანია და ესეც განაპირობებს იმას, რომ კომუნიკაცია (ზოგჯერ, საჭიროებისამებრ, ონლაინ) არის უწყვეტი და დინამიკური.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4. შედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლა მცირეკონტიგენტიანია და ამიტომ ისინი მუდმივად ერთვებიან ერთმანეთის სამუშაოებში და ადვილად ახერხებენ ურთიერთდასწრებას, გამოცდილების გაზიარებას, რჩევა/რეკომენდაციების მიცემას. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო არაფორმალური განათლების აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. ეს აქტივობები სკოლას განერილი აქვს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე მსჯელობა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი მოგვარების გზების დროულად აღმოჩენისთვის. აქტიურად ხორციელდება მასწავლებელთა მიერ დაგეგმილ გაკვეთილებზე დასწრება, შეფასება, რეკომენდაციების მიცემა, აქტიურად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობას იწყებენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კერძოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ეყრდნობიან მასწავლებელთა თვითშეფასებებს, საგნობრივი კათედრის ანალიზებს, კომპლექსურ და შემატამებელ დავალებათა ანალიზებს, კლუბების, წრეების, პროექტების განხორციელების პროცესისა და შედეგების რეფლექსიებს.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. თავად პროცედურა გულისხმობს, როგორც სწავლების მიმდინარეობის ეფექტურობის გაზრდას, ასევე მასში ჩართული პირების მხარდაჭერასა და კონსტრუქციული უკუკავშირით გასავითარებელ მხარეებზე ყურადღების გამახვილებას..სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც გაკვეთილზე ესწრება პედაგოგებს არსებული პრობლემის იდენტიფიცირების და დროულად აღმოფხვრის გზების გასატარებლად. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გამოავლინოს არსებული, გაანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოება, მშობელი და შედეგად შესაძლებლობა იქნება შეფასდეს სკოლის მუშაობის პროცესი და დაისახოს სუსტი მხარეების გამოსწორების გზები უკეთესი შედეგების მისაღწევად. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პოზიტიური უკუკავშირის სახით იძლევა რეკომენდაციებს საჭიროების შემთხვევაში. ანალიზისა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე კი ისახება გაუმჯობესების სტრატეგიები.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის სამოქმედო გეგმა,
- კურიკულუმის ჩარჩო,
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა/ერთიერთდასწრების შედეგები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელი ეცნობიან მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურაში არსებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა იციან თუ რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან, თუმცა წარმოდგენილი რუბრიკები ყოველთვის არ იძლევა შედეგების ზუსტად გაზომვის შესაძლებლობას. კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეები ფასდება სოლო ტაქსონომიით; შეფასება ხორციელდება როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად. პედაგოგები იცნობენ შეფასების ახალ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებასაც გეგმავენ. შეფასება ხორციელდება ძირითადად შემაჯამებელი დავალებების, საკლასო აქტივობებში ჩართულობის, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების მიხედვით. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს, თვითშეფასებას. ამასთანავე, შეფასებისთვის დაკვირვება ხდება როგორც კლასში, ასევე ეზოში, სათამაშო სივრცეში, არაფორმალურ გარემოში. გასაუბრებისას შესაძლებელი იყო ამ მიმართულებით მზაობის დადგენა. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას. სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ფუნქციონირების დელეგირების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში შეფასება განხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების

გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. ინფორმაციის მოსაპოვებლად გათვალისწინებული შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ.. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები: ღირებულებები, მისწრაფებები, სურვილები, შესაძლებლობები. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი.. სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლის განვითარების უახლოესი დონის დადგენაზე და შესაბამისად განვითარებისთვის ბრუნვაზე (ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური..).

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

3. პედაგოგი ახორციელებს მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლაზე და შეძლებისდაგვარად აწვდის მათ უკუკავშირს. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს. პრიორიტეტს ანიჭებენ მოსწავლის თვითშეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა შეფასებისას გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს.: დაკვირვება, დიაგნოსტიკის მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

სკოლის ფეისბუქ-გვერდი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- სოლო--ტაქსონომია,
- შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის სტრუქტურის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმს, როგორ გაუნეცს მონიტორინგს კურიკულუმის შემუშავების და დაგეგმვის ეტაპებს, მოსწავლეების მიერ მის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

გააზრებასა და განხორციელებას, ასევე მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივ მუშაობას სხვადასხვა აქტივობებზე. განაცხადში იკითხება, რომ სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას ეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი საწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია

2. შექმნილი კურიკულუმი პირველადი სახითაა წარმოდგენილი და არ არის გადამუშავებული ვერსია. თუმცა პედაგოგის თქმით, ის ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს სკოლაში ამ ეტაპზე მოქმედი მექანიზმებით (ძირითადად ზეპირად) მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედებას დაიწყებს ესგ-ს დანერგვის ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის შედეგები გახდება სამომავლოდ კურიკულუმის რევიზირების საფუძველი. პედაგოგთან გასაუბრებამ ცხადყო ამ მიმართულებით მისი დამაკმაყოფილებელი მზაობა.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები,
- ესგ-ს დანერგვის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხურის კურიკულუმები)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო

პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმად შემდეგ საკითხებზე: 1. რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული); 2. რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების მისაღწევად; 3. რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად; 4. რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში; 5. რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. შესწავლილი დოკუმენტაციის თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარე; მასწავლებლები სამუშაო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის ანალიზის საფუძველზე; ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. კათედრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ კურიკულუმები შედგა ერთობლივი, კოლეგიალური მუშაობის საფუძველზე, კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რაც თითოეული მათგანის ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება. საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ გადაიხედა თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები; საგნობრივი პროგრამის მიხედვით, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე განისაზღვრა სავალდებულო თემების ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. მასწავლებელი გამოხატავს მზაობას, როგორ უნდა მოხდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევა მოკლევადიან მიზნებზე დაფუძნებით. შეირჩა რესურსები, თუმცა როგორც ირკვევა, ძირითად რესურსად სახელმძღვანელო გამოიყენება. ელექტრონული რესურსის გამოყენება ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ინტერნეტის ხარვეზით მიწოდების გამო.. მოსწავლეები ეცნობიან სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს ეძლევათ ინფორმაცია განსახორციელებელი კომპლ.დავალებების შესახებ მშობელთა კრებაზე. გათვალისწინებულია მათი უკუკავშირი.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდოლოგიურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას; კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია ყველა კლასში. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. კურიკულუმს თან ახლავს დანართის სახით კომპლექსური დავალების ბარათი და შეფასების განმავითარებელი რუბრიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, ხორციელდება პროექტი-პირადი ჰიგიენა, ჩემი უფლებები და მოვალეობები. წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, ისეთი საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებასა და ისეთ რეგულაციებს, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს.

ინდიკატორი 2.1.2.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად განერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულუმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს ორიენტირებულობა. განერილია თემები ყველა თავისი სამიზნე ცნებებითა და საჭირო რესურსებით. კურიკულუმის ჩარჩოში განერილია კომპლექსური დავალებები თავისი ბარათებითა და შეფასების რუბრიკებით. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს, რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.). გასაუბრებისას პედაგოგები ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრები მზად არიან კვლავ გააგრძელონ კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე მუშაობა.თუმცა, სასურველია რუსული ენის კურიკულუმის ჩარჩოზე მუშაობისას გამოიკვეთოს როგორ დამუშავდება სამიზნე ცნებები კონკრეტული თემის ფარგლებში პროექტული ტიპის/კომპლექსური დავალებების განხორციელების შემთხვევაში.

ინდიკატორი 2.1.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მიდგომებს, ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი პოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გეგმა და ამ მიმართულებით შედაგოგებს აქვთ გამოცდილება. მასწავლებლები სასწავლო პროცესში, ასევე, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეფასებასა და თვითშეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკები, სოლო ტაქსონომიის სხვადასხვა დონეზე შეფასებული შესაბამისი კომენტარით. ასევე საკლასო აქტივობის, ჯგუფური მუშაობის და სხვადასხვა აქტივობები. სკოლას უტარდებოდა შეხვედრები საგნობრივ ექსპერტებთან, სადაც განიხილავდნენ შეფასების რუბრიკებსაც. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომავალში ამ რუბრიკების დახვეწაზე იმუშებენ და გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. უცხოური ენის კათედრამ პირველადი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა **განმსაზღვრელი შეფასების** პოლისტური ხასიათის რუბრიკები, რომელიც არ იყო შესაბამისობაში ესგ სტანდარტით მისაღწევ გრძელვადიან შედეგებთან და არ აზუსტებდა იყო თუ არა ეს რუბრიკა 2023-2024 სასწავლო წლისთვის შედგენილი. შესაბამისად, გამოვითხოვეთ დოკუმენტი, რომელიც დააზუსტებდა შესაბამისობას აღნიშნულ მოთხოვნებთან. დანესებულებამ ამჯერად წარმოადგინა სემესტრული განმსაზღვრელი შეფასების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

რუბრიკა უცხოური ენის სწავლების ყველა მიმართულებით (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი, გრამატიკა), თუმცა შესაბამისობა ისევ არ იკვეთება (სტანდარტით მისაღწევი თითოეული სამიზნე ცნების შედეგების ინდიკატორებთან შესაბამისობით). აგრეთვე, უცხოური ენის კათედრას არ აქვს წარმოდგენილი **განმავითარებელი შეფასების** რუბრიკების ნიმუშები, რომლითაც დადგინდება, რამდენად ორიენტირებულად წარიმართება სამიზნე ცნებების მიმართებით მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბება. დასკვნის პროექტის მიხედვით, უცხო ენაში დაწესებულებას არ აქვს წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შესაბამისობაში იქნებოდა სასწავლო თემების ფარგლებში სამიზნე ცნებების შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა უცხო ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, რომლებიც სასწავლო თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიღწევის შედეგების ინდიკატორებთან შესაბამისია.

ექსპერტთა ჯგუფი 2.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულ შესაბამისობაშია.

5. კურიკულუმის დაგეგმვისას მასწავლებელი მეტნაკლებად ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას და შედეგებს. გათვალისწინება ძირითადად ხდება კომპლექსურების მიმართულებით-რის განხორციელებას შეძლებენ ბავშვები, რა საფუძველი და რა რესურსები აქვთ ამისათვის. რაც შეეხება ანალიზს, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ახალი ფორმები, რომელიც მოიცავს შედეგების ანალიზსაც, ჯერ არ არის დანერგილი სკოლაში, თუმცა პედაგოგები იცნობენ ოთხივე ინსტრუმენტს სადიაგნოსტიკო შეფასებისას და გეგმავენ ერთ-ერთი ინსტრუმენტის გამოყენებას ამ მიზნით.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

კურიკულუმი;

- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი პროგრამები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების წლიური ანგარიში ;
- ურთიერთდასწრების უკუკავშირი;
- სამუშაო შეხვედრის რეფლექსია;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინდ. გეგმა

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ, გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს. სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, რომლის წესდება და სამუშაო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. პედაგოგები საგნობრივ ოქმებში, გასაუბრების პროცესში აფიქსირებენ ამ აქტივობების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვისთვის. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება და მუშაობისას უფრო კომპლექსურად უდგებიან კომპლექსური დავალებების დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. ცდილობენ, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. თუმცა, უცხო ენაში წარმოდგენილ თემებს აკლია კომპლექსური ტიპის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

აქტივობები/დავალებები, ასევე არ არის დაგეგმილი სასწავლო და საგანმანათლებლო პროექტები, რათა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მაქსიმალურად გამოიკვეთოს.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და მათ ფარგლებში განსახილველი საკითხები ისე განერჩილი, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, გააზრებაში და კონსტრუირებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით იღებენ ახალ გამოცდილებებსა და სწავლობენ, ეუფლებიან ახალ უნარ-ჩვევებს. ამ მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განხორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენცია. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: -----
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: -----



გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე და მათი მხრიდან წარმოდგენილია მოსწავლის თვითშეფასების ბარათის ნიმუშები შესრულებული დავალებების ანალიზზე: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ თვითშეფასება, რომელიც უადვილებთ მათ მეტაკოგნიტურ პროცესებს. მეტაკოგნიციაზე აქცენტი ისახება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში. დასკვნის პროექტის მიხედვით სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და არანაირი რესურსი არ იკვეთებოდა ცდების/ექსპერიმენტების/დაკვირვების საწარმოებლად, შესაბამისად საფრთხე ექმნებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმის განხორციელებას საბაზო საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი). არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (10.10.2023-10.10.2024) და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის, 22.11.2023-ში მიწერილი წერილი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი 2.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (10.10.2023-10.10.2024), (რისკი-20%).

ინდიკატორი 2.2.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია.

4. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები ყველა კლასისთვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაში. კურიკულუმებში განერილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ კომიქსად, იგავად, წერილად და ა.შ. ასევე axorcieleben აქტივობებს მაგ. ინტელექტუალურ თამაშებს რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითარებას. კურიკულუმებში განერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მონოღებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. კურიკულუმებში განერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შემქნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები ქმნიან კომიქსებს, წერილებს, დღიურებს, აგრძელებენ სიუჟეტს, თხზვენ ამბავს ნახატის მიხედვით, საკუთარ მოსაზრებას ასახულებენ და ა.შ. მასწავლებლები ამ მიმართულებით აქტიურად ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში.

2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით. მაგალითად, უცხო ენაში მეხუთე კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალება საკითხით: წერილობითი ანგარიში თემაზე - ქართველი და ბრიტანელი მოზარდების თავისუფალი დროის აქტივობები. აღნიშნული დავალება წარმოადგენს სხვადასხვა საკითხების ურთიერთდაკავშირებულად და ინტეგრირებულად სწავლის საშუალებას. თუმცა, რუსული და ინგლისური ენის კურიკულუმებში არ იკითხება და ინტერვიუს პროცესშიც დადასტურდა, რომ საგანთაშორისი-ინტეგრირებული აქტივობები/პროექტები არაა დაგეგმილი, რათა უფრო გამთლინებულად და ჰოლისტურად მოხდეს სასწავლო საგნების ურთიერთდაკავშირება. სასურველია უცხოური ენის კათედრაზე დაიგეგმოს და განხორციელდეს საგანთაშორისი აქტივობები და/ან პროექტები, რათა მოხდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმი;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- კომპლექსური დავალება;
- მკითხველთა კლუბის წესდება და სამუშაო გეგმა.

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართებები სწორია. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები გააზრებულია მიზანზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლაში მკითხველთა კლუბი, რომელიც, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია ურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტენტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რაც ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კლუბებში გაერთიანება და არაფორმალურ განათლებაში ჩართვა მოსწავლეებში ემპათიის გრძნობას ზრდის. სკოლაში ამ მხრივ დიდი ფუნქცია ეკისრება დამრიგებელს და მის მუშაობას. ამ მიმართულებით დამრიგებლის როლი დიდია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტით: ა) მიმდინარე საკლასო დავალება. ბ) მიმდინარე საშინაო დავალება. გ) შემაჯამებელი დავალება. მასწავლებელს უფლება აქვს განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიით. მასალებში წარმოდგენილია მოსწავლეთ შეფასების რუბრიკები, ძირითადად სოლო ტაქსონომიის სახით წარმოდგენილი, სადაც მოსწავლეები შეფასებული იყო სხვადასხვა დონეზე და ქონდა შესაბამისი განმავითარებელი კომენტარი რაც იძლევა იმის საფუძველს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის კათედრა გეგმავს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელით მუშაობას, ხოლო სადიაგნოსტიკო ტესტებს შეამოწმებენ პირველი ინსტრუმენტის საშუალებით. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, გააანალიზებენ და მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისათვის.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს და ახალი სასწავლო წლისთვისაც არჩეულია, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემის პირველი მოდელი, შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ექსპერტების მიერ მოწოდებული ნიმუშის მიხედვით. აღსანიშნავია კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალებას და ვალიდურობას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით და მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაღრმავების და კათედრაზე შემუშავების თაობაზე.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც დაამტკიცა ვიზიტის პერიოდში ბრძანება N2-47-ით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს პროცესის, მტკიცებულების და შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვასკენით, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოს საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს, უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს. მათ ერთობლივად განიხილეს და შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო, მსჯელობენ და ქმნიან შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე დასწრების ფორმებს.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობა სრულ შესაბამისობაშია რეალობასთან, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. თითოეული წვრილმანი ადასტურებს, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, ვინაიდან დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფალნი არიან.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. სკოლის სტრუქტურული ერთეულები, ჩანს, მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. სასწავლო გეგმები იქმნება კათედრაზე ერთობლივად მიღებული გადანყვეტილებების საფუძველზე. კათედრის წევრები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. ჩანს, რომ იცნობენ ერთმანეთის სამოქმედო გეგმებს. კურიკულუმი, საკლუბო საქმიანობა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და კათედრების ანგარიშები, სადამრიგებლო საათი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის (მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლა მცირეკონტიგენტიანია და ესეც განაპირობებს იმას, რომ კომუნიკაცია (ზოგჯერ, საჭიროებისამებრ, ონლაინ) არის უწყვეტი და დინამიკური.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლა მცირეკონტიგენტიანია და ამიტომ ისინი მუდმივად ერთვებიან ერთმანეთის სამუშაოებში და ადვილად ახერხებენ ურთიერთდასწრებას, გამოცდილების გაზიარებას, რჩევა/რეკომენდაციების მიცემას. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო არაფორმალური განათლების აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. ეს აქტივობები სკოლას გაწერილი აქვს ერთნაირად სამოქმედო გეგმაში და არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა.

ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების გეგმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.2 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე მსჯელობა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი მოგვარების გზების დროულად აღმოჩენისთვის. აქტიურად ხორციელდება მასწავლებელთა მიერ დაგეგმილ გაკვეთილებზე დასწრება, შეფასება, რეკომენდაციების მიცემა, აქტიურად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობას იწყებენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კერძოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ეყრდნობიან მასწავლებელთა თვითშეფასებებს, საგნობრივი კათედრის ანალიზებს, კომპლექსურ და შემატყობველ დავალებათა ანალიზებს, კლუბების, წრეების, პროექტების განხორციელების პროცესისა და შედეგების რეფლექსიებს.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. თავად პროცედურა გულისხმობს, როგორც სწავლების მიმდინარეობის ეფექტურობის გაზრდას, ასევე მასში ჩართული პირების მხარდაჭერასა და კონსტრუქციული უკუკავშირით გასავითარებელ მხარეებზე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ყურადღების გამახვილებას..სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი,რომელიც გაკვეთილზე ესწრება პედაგოგებს არსებული პრობლემის იდენტიფიცირების და დროულად აღმოფხვრის გზების გასატარებლად.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გაანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

3. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოება, მშობელი და შედეგად შესაძლებლობა იქნება შეფასდეს სკოლის მუშაობის პროცესი და დაისახოს სუსტი მხარეების გამოსწორების გზები უკეთესი შედეგების მისაღწევად. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პოზიტიური უკუკავშირის სახით იძლევა რეკომენდაციებს საჭიროების შემთხვევაში. ანალიზისა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე კი ისახება გაუმჯობესების სტრატეგიები.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის სამოქმედო გეგმა,
- კურიკულუმის ჩარჩო,
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა/ერთიერთდასწრების შედეგები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტიურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელი ეცნობიან მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურაში არსებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა იციან თუ რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან, თუმცა წარმოდგენილი რუბრიკები ყოველთვის არ იძლევა შედეგების ზუსტად გაზომვის შესაძლებლობას. კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეები ფასდება სოლო ტაქსონომიით; შეფასება ხორციელდება როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად. პედაგოგები იცნობენ შეფასების ახალ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებასაც გეგმავენ. შეფასება ხორციელდება ძირითადად შემაჯამებელი დავალებების, საკლასო აქტივობებში ჩართულობის, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების მიხედვით. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



კითხვა-პასუხს, თვითშეფასებას. ამასთანავე, შეფასებისთვის დაკვირვება ხდება როგორც კლასში, ასევე ეზოში, სათამაშო სივრცეში, არაფორმალურ გარემოში. გასაუბრებისას შესაძლებელი იყო ამ მიმართულებით მზაობის დადგენა. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას. სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ფუნქციონირებას დელეგირების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში შეფასება განხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების

გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. ინფორმაციის მოსაპოვებლად გათვალისწინებული შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ.. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები: ღირებულებები, მისწრაფებები, სურვილები, შესაძლებლობები. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი. სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლის განვითარების უახლოესი დონის დადგენაზე და შესაბამისად განვითარებისთვის ზრუნვაზე (ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური..).

ინდიკატორი 2.3.2.2. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. პედაგოგი ახორციელებს მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლაზე და შეძლებისდაგვარად აწვდის მათ უკუკავშირს. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს. პრიორიტეტს ანიჭებენ მოსწავლის თვითშეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა შეფასებისას გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს.: დაკვირვება, დიაგნოსტიკის მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- სოლო-ტაქსონომია,
- შემატყობველი წერის ანალიზის ფორმა.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის სტრუქტურის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმს, როგორ გაუნეწოს მონიტორინგს კურიკულუმის შემუშავების და დაგეგმვის ეტაპებს, მოსწავლეების მიერ მის გააზრებასა და განხორციელებას, ასევე მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივ მუშაობას სხვადასხვა აქტივობებზე. განაცხადში იკითხება, რომ სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას ეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2. შექმნილი კურიკულუმი პირველადი სახითაა წარმოდგენილი და არ არის გადამუშავებული ვერსია. თუმცა პედაგოგის თქმით, ის ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს სკოლაში ამ ეტაპზე მოქმედი მექანიზმებით (ძირითადად ზეპირად) მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედებას დაიწყებს ესგ-ს დანერგვის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის შედეგები გახდება სამომავლოდ კურიკულუმის რევიზირების საფუძველი.

პედაგოგთან გასაუბრებამ ცხადყო ამ მიმართულებით მისი დამაკმაყოფილებელი მზაობა.

ინდიკატორი 2.4.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები,
- ესგ-ს დანერგვის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

სტანდარტი 2	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება (მონიშნეთ შესაბამისი უჭრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხურის კურიკულუმები)	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტი კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას. კურიკულუმის შემუშავება გულისხმობს მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამის და მისი რეალიზებისთვის საჭირო აქტივობების განსაზღვრას. ამ პროცესში კათედრის ყველა მასწავლებელი ერთვება. პედაგოგები თანხმად შემდეგ საკითხებზე: 1. რომელ თემებს ასწავლიან მომდევნო სასწავლო წელს (იმ საგნებში, სადაც თემები სავალდებულოდ არ არის განსაზღვრული); 2. რა ქვესაკითხებსა და საკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების გასააზრებლად, საფეხურის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მისაღწევად; 3. რა კომპლექსურ დავალებებს იყენებენ თემის ფარგლებში გამოკვეთილი საკითხებისა და ქვესაკითხების გასააზრებლად; 4. რა ძირითად და დამხმარე რესურსებს იყენებენ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში; 5. რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ მოსწავლეების განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებისთვის.

ინდიკატორი 2.1.1.1 დაკმაყოფილებულია

2. შესწავლილი დოკუმენტაციის თანახმად და მასწავლებლებთან გასაუბრებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული მხარე; მასწავლებლები სამუშაო პროცესს გეგმავენ მოსწავლეთა აკადემიური მიღწევის ანალიზის საფუძველზე; ითვალისწინებენ მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს. კათედრებთან გასაუბრება ადასტურებს, რომ კურიკულუმები შედგა ერთობლივი, კოლეგიალური მუშაობის საფუძველზე, კათედრის წევრები ერთმანეთს უზიარებენ შეხედულებებს, მოსაზრებებსა და რეკომენდაციებს, რაც თითოეული მათგანის ინტერესების გათვალისწინების შესაძლებლობას იძლევა.

ინდიკატორი 2.1.1.2 დაკმაყოფილებულია

3. კურიკულუმის შემუშავებაში მონაწილეობას იღებს სასკოლო საზოგადოება. საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დასაწყისში კიდევ ერთხელ გადაიხედა თითოეული კლასის გასული სასწავლო წლის მიღწევები; საგნობრივი პროგრამის მიხედვით, მოსწავლეთა ინტერესებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე განისაზღვრა სავალდებულო თემების ფარგლებში განსახორციელებელი კომპლექსური დავალებები. მასწავლებელი გამოხატავს მზაობას, როგორ უნდა მოხდეს გრძელვადიანი მიზნების მიღწევა მოკლევადიან მიზნებზე დაფუძნებით. შეირჩა რესურსები, თუმცა როგორც ირკვევა, ძირითად რესურსად სახელმძღვანელო გამოიყენება. ელექტრონული რესურსის გამოყენება ხშირ შემთხვევაში ვერ ხერხდება ინტერნეტის ხარვეზით მიწოდების გამო. მოსწავლეები ეცნობიან სასწავლო გეგმას. სასწავლო წლის დასაწყისში მშობლებს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ედღევანთ ინფორმაცია განსახორციელებელი კომპლექსური ღვაწლების შესახებ მშობელთა კრებაზე. გათვალისწინებულია მათი უკუკავშირი.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. როგორც კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიიდან ჩანს, კურიკულუმზე მუშაობს სასკოლო საზოგადოება, ხოლო რაც შეეხება კურიკულუმის დამტკიცებას, ის თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედაგოგიურ საბჭოზე, რაც ასევე უზრუნველყოფს მის გაზიარებას სასკოლო საზოგადოების მიერ. სასკოლო სასწავლო გეგმა არის საჯარო დოკუმენტი (გარდა მასში შემავალი ინდივიდუალური სასწავლო გეგმებისა). სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისთვის და მათი მხრიდან უკუკავშირის მისაღებად გამოიყენება შემდეგი საკომუნიკაციო არხები: სკოლის ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, სოციალური მედია, ბეჭდვითი მასალები და საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. ამიტომ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2023-2024 წლის სასკოლო სასწავლო გეგმა;
- საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოები;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კურიკულუმი მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებსა და ინტერესებს, კურიკულუმის ჩარჩო წარმოდგენილია ყველა კლასში. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. კურიკულუმს თან ახლავს დანართის სახით კომპლექსური დავალების ბარათი და შეფასების განმავითარებელი რუბრიკა. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებიდან ირკვევა, რომ უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების დადგენის მიზნით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

შემუშავებულია სადამრიგებლო პროგრამა, ხორციელდება პროექტი-პირადი ჰიგიენა, ჩემი უფლებები და მოვალეობები. წარმოდგენილი კურიკულუმი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისადაა შექმნილი და მოსწავლეს საკუთარი შესაძლებლობის გამოვლენისა და თვითრეალიზების საშუალებას აძლევს. წარმოდგენილია სასკოლო სასწავლო გეგმა, რომელიც გულისხმობს სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებას, ისეთი საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებასა და ისეთ რეგულაციებს, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა უნარებს, შესაძლებლობებს, ცოდნის დონეს. დასკვნის პროექტის მიხედვით საშუალო საფეხურზე ესთეტიკის კათედრის მიერ შემუშავებული კურიკულუმი დოკუმენტაციის სახით არ იყო წარმოდგენილი, მაგრამ ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ისაუბრეს იმ განხორციელებულ პროექტებზე რომელიც შეიმუშავეს 2022-2023 სასწავლო წლისათვის. აგრეთვე მათ წარმოაჩინეს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზა, ამას მოწმობს ის გრძელვადიანი სამიზნე ცნებები და შუალედური მიზნები, რომლებიც საშუალო საფეხურის ესთეტიკის მასწავლებლების განხორციელებულ პროექტებში იკითხებოდა. მიუხედავად იმისა, რომ ინტერვიუზე მასწავლებლებთან ერთად განვიხილეთ და მათ გამოთქვეს მზაობა გადმოეგზავნათ საშუალო საფეხურის კურიკულუმი, ესთეტიკის კათედრას არ წარმოუდგენია საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა საშუალო საფეხურის კურიკულუმის ჩარჩო.

ექსპერტთა ჯგუფი 2.1.2.1 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულ შესაბამისობაშია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოში ძირითადად გაწერილია სამიზნე ცნებები-გრძელვადიანი მიზნები. თემის ფარგლებში გამოკვეთილია ძირითადი საკითხები, მითითებულია ისეთი კონტექსტ-მაგალითები, რომლებიც მოსწავლის ტრანსფერს უწყობს ხელს. სასწავლო პროცესში მუშაობა სწორედ მათ მიემართება და კურიკულუმშიც მკაფიოდ იკვეთება ეს

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ორიენტირებულობა. განერილია თემები ყველა თავისი სამიზნე ცნებებითა და საჭირო რესურსებით. კურიკულუმის ჩარჩოში განერილია კომპლექსური დავალებები თავისი ბარათებითა და შეფასების რუბრიკებით. მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს, რომელთა საშუალებითაც ისინი ეუფლებიან გლობალურ ფუნქციურ უნარებს (კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია და სხვ.). გასაუბრებისას პედაგოგები ადასტურებენ ცოდნას საგნობრივ საკითხზე და ექმნებათ მკვიდრი წარმოდგენები. პედაგოგებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კათედრები მზად არიან კვლავ გააგრძელონ კურიკულუმის განვითარებასა და დახვეწაზე მუშაობა. დასკვნის პროექტის მიხედვით, გასაუბრების დროს, მასწავლებლებმა ისაუბრეს 2022-2023 სასწავლო წლებში განხორციელებული პროექტებში შემაჯალი თემების და საკითხების შესახებ, რომელთა სწავლებაც განახორციელა სკოლამ საშუალო საფეხურზე, სადაც გამოჩნდა გრძელვადიანი მიზნები-სამიზნე ცნებები და საფეხურის შედეგები. თუმცა არ იყო წარმოდგენილი საშუალო საფეხურის ესტეტიკის კათედრის კურიკულუმი ინტერვიუზე მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა, რომ გადმოაგზავნიდნენ საგნობრივ კურიკულუმებს, მაგრამ სკოლამ არ გადმოაგზავნა საშუალო საფეხურის ესტეტიკის კათედრის კურიკულუმის ჩარჩო დოკუმენტი. არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა ესტეტიკის კათედრის კურიკულუმის ჩარჩო.

ექსპერტთა ჯგუფი 2.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულ შესაბამისობაშია.

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში, სასწავლო პროცესში სკოლა ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს, ზოგადად, სასწავლო პროცესის ინკლუზიურ ხედვას, რაც გულისხმობს, ერთი მხრივ, განათლების თანამედროვე პარადიგმების რეალიზებას სასკოლო სივრცეში, როგორცაა სწავლის კონსტრუქტივისტული ფილოსოფია, მოსწავლისადმი პოლისტური მიდგომა, მოსწავლეზე ორიენტირებული სიღრმისეული სწავლა და ა.შ. და, მეორე მხრივ, პოზიტიური სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კულტურის ჩამოყალიბებას. სკოლამ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმა გეგმა და ამ მიმართულებით პედაგოგებს აქვთ გამოცდილება. მასწავლებლები სასწავლო პროცესში, ასევე, აქტიურად იყენებენ დიფერენცირებულ მიდგომებს. სკოლის სასწავლო გეგმა მოიცავს სასწავლო პროცესში მასწავლებელთა და მოსწავლეთა შეფასებასა და თვითშეფასებას. სასკოლო საზოგადოებას გაცნობიერებული აქვს, რომ საჭიროა ყოველთვის იმის გაანალიზება, თუ რამდენადაა მორგებული საგნობრივი კურიკულუმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები კონკრეტული მოსწავლეების ინტერესებს, შესაძლებლობებსა და საჭიროებებს; რამდენად მოქნილია სასწავლო გარემო (პროცესი, შინაარსი) მოსწავლეთა საჭიროებებზე ორიენტირებისთვის.

ინდიკატორი 2.1.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა რუბრიკები, სოლო ტაქსონომიის სხვადასხვა დონეზე შეფასებული შესაბამისი კომენტარით. ასევე საკლასო აქტივობის, ჯგუფური მუშობის და სხვადასხვა აქტივობები და სხვადასხვა. სკოლას უტარდებოდა შეხვედრები საგნობრივ ექსპერტებთან სადაც განიხილავდნენ შეფასების რუბრიკებსაც, როგორც განმსაზღვრელი ისე განმავითარებელი. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მომავალში ამ რუბრიკების დახვეწაზე იმუშავებენ და გამოიყენებენ სასწავლო პროცესში. დასკვნის პროექტის მიხედვით უცხოური ენის კათედრამ პირველადი დოკუმენტაციის სახით წარმოადგინა **განსაზღვრელი შეფასების** ჰოლისტური ხასიათის რუბრიკები, რომელიც არ იყო შესაბამისობაში ესგ სტანდარტით მისაღწევ გრძელვადიან შედეგებთან და არ აზუსტებდა იყო თუ არა ეს რუბრიკა 2023-2024 სასწავლო წლისთვის შედგენილი. შესაბამისად, გამოვითხოვეთ დოკუმენტი, რომელიც დააზუსტებდა შესაბამისობას აღნიშნულ მოთხოვნებთან. დაწესებულებამ ამჯერად წარმოადგინა სემესტრული განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკა უცხოური ენის სწავლების ყველა მიმართულებით (წერა, კითხვა, მოსმენა, ლაპარაკი, გრამატიკა), თუმცა შესაბამისობა ისევ არ იკვეთებოდა (სტანდარტით მისაღწევი თითოეული სამიზნე ცნების შედეგების ინდიკატორებთან შესაბამისობით). აგრეთვე, უცხოური ენის კათედრას არ ჰქონდა წარმოდგენილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები, რომლითაც დგინდება, რამდენად ორიენტირებულად წარიმართება სამიზნე ცნებების მიმართებით მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბება. დასკვნის პროექტის მიხედვით უცხო ენაში დაწესებულებას არ ჰქონდა წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები, რომლებიც შესაბამისობაში იქნებოდა სასწავლო თემების ფარგლებში სამიზნე ცნებების შედეგების მიღწევის ინდიკატორებთან.

არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა უცხო ენის განმსაზღვრელი და განმავითარებელი რუბრიკები, რომლებიც სასწავლო თემის ფარგლებში სამიზნე ცნებების მიღწევის შედეგების ინდიკატორებთან შესაბამისია.

ექსპერტთა ჯგუფი 2.1.2.4 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას

ინდიკატორი 2.1.2.4 სრულ შესაბამისობაშია.

5. კურიკულუმის დაგეგმვისას მასწავლებელი მეტნაკლებად ითვალისწინებს წინა წლის გამოცდილებას და შედეგებს. ათვალისწინება ძირითადად ხდება კომპლექსურების მიმართულებით-რის განხორციელებას შეძლებენ ბავშვები, რა საფუძველი და რა რესურსები აქვთ ამისათვის. რაც შეეხება ანალიზს, ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის მონიტორინგის ახალი ფორმები , რომელიც მოიცავს შედეგების ანალიზსაც, ჯერ არ არის დანერგილი სკოლაში, თუმცა პედაგოგები იცნობენ ოთხივე ინსტრუმენტს სადიაგნოსტიკო შეფასებისას და გეგმავენ ერთ-ერთი (კომპლ.დავალებებზე დაფუძნებული) ინსტრუმენტის გამოყენებას ამ მიზნით.

ინდიკატორი 2.1.2.5 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- კურიკულუმი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები
- საგნობრივი პროგრამები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა;
- კათედრების წლიური ანგარიში ;
- ურთიერთდასწრების უკუკავშირი;
- სამუშაო შეხვედრის რეფლექსია;
- ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა;
- ინდგეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და შედარებითან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებლები ცდილობენ, გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს. საგნობრივ კურიკულუმებში ჩაშენებულია კომპლექსური დავალებები, რომლებიც იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ქმნიან შემოქმედებით პროდუქტებს. სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი, რომლის წესდება და სამუშაო გეგმა ითვალისწინებს მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობას. პედაგოგები საგნობრივ ოქმებში, გასაუბრების პროცესში აფიქსირებენ ამ აქტივობების მნიშვნელობას მოსწავლეთა აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართვისთვის. მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ მათ აქვთ ერთობლივი მუშაობის დიდი გამოცდილება და მუშაობისას უფრო კომპლექსურად უდგებიან კომპლექსური დავალებების დაგეგმვას, საგნობრივი კურიკულუმების დახვეწის/განვითარების პროცესში ასახავენ საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებულ კომპლექსურ დავალებებსა და სხვადასხვა აქტივობას. ცდილობენ, ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები, რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. თუმცა, უცხო ენაში წარმოდგენილ თემებს აკლია კომპლექსური ტიპის აქტივობები/დავალებები, ასევე არ არის დაგეგმილი სასწავლო და საგანმანათლებლო პროექტები, რათა მოსწავლეთა ჩართულობა სასწავლო პროცესში მათი ინტერესებისა და საჭიროებების გათვალისწინებით მაქსიმალურად გამოიკვეთოს.

ინდიკატორი 2.2.1.1 დაკმაყოფილებულია

2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით. საგნობრივ კურიკულუმებში წარმოდგენილი თემები და მათ ფარგლებში განსახილველი საკითხები ისე გაწერილი, რომ მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებზე დაყრდნობით წარიმართოს სწავლა-სწავლების პროცესი, რომელიც დაეხმარება მას ახალი ინფორმაციის წინარე ცოდნასთან დაკავშირებაში, გააზრებაში და კონსტრუირებაში. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. კურიკულუმებში წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით, რომლის შესრულებისას მოსწავლემ უნდა გადაჭრას მისთვის ნაცნობი პრობლემა, გააკეთოს ანალოგია, შექმნას საინტერესო პროდუქტი, ახსნას ნაცნობი მოვლენა. მოსწავლეები წინარე ცოდნაზე დაფუძნებით იღებენ ახალ გამოცდილებებსა და სწავლობენ, ეუფლებიან ახალ უნარ-ჩვევებს. ამ მიმართულებით სკოლაში ფუნქციონირებს მკითხველთა კლუბი. პედაგოგები გასაუბრებისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია სასკოლო პროექტების ინიცირების წახალისება და მოსწავლისთვის საინტერესო არაფორმალური განათლების ელემენტების დაგეგმვა/განხორციელება, რათა დაეხმაროს სასწავლო პროცესს მოსწავლის გამოცდილებასთან მიახლოებაში, რაც მისი ეფექტიანობის მნიშვნელოვანი წინაპირობა იქნება.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას პედაგოგები ცდილობენ, გაითვალისწინონ სწავლა-სწავლების მიზნები: მოსწავლეს განუვითარონ ევროკავშირის მიერ განსაზღვრული XXI საუკუნის რვა საკვანძო კომპეტენცია. მათ შორის არის პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლეს შეუძლია დავალების/შესასრულებელი საქმიანობის ღირებულების განსაზღვრა, დავალების/აქტივობის დაგეგმვა, სწავლის პროცესის მონიტორინგი, სწავლის, როგორც ქცევის სოციო-ემოციური მართვა. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მათი მხრიდან მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე და მათი მხრიდან წარმოდგენილია მოსწავლის თვითშეფასების ბარათის ნიმუშები შესრულებული დავალებების ანალიზზე: რა შეასრულა კარგად, რა ცოდნამ, გამოცდილებამ და სტრატეგიამ მოუტანა წარმატება, რა ხელისშემშლელი ფაქტორები გამოიკვეთა, როგორ გაუმკლავდა ამ ფაქტორებს, რისი პრევენცია შეიძლებოდა თავიდან დაგეგმვის შემთხვევაში. პედაგოგებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ მოსწავლეებს ძალიან მოსწონთ თვითშეფასება, რომელიც უადვილებთ მათ მეტაკოგნიტურ პროცესებს. მეტაკოგნიციაზე აქცენტი ისახება სკოლის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზსა და ანგარიშებში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



დასკვნის პროექტის მიხედვით სკოლას არ ჰქონდა საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და არანაირი რესურსი არ იკვეთებოდა ცდების/ექსპერიმენტების/დაკვირვების საწარმოებლად, შესაბამისად საფრთხე ექმნებოდა საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივ ჯგუფში შემავალი საგნების კურიკულუმის განხორციელებას საბაზო საფეხურზე. (საფუძველი: ავტორიზაციის დებულების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი). არგუმენტირებული პოზიციის დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (10.10.2023-10.10.2024) და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთვის, 22.11.2023-ში მიწერილი წერილი, საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის მოწყობის უზრუნველყოფასთან დაკავშირებით.

ექსპერტთა ჯგუფი 2.2.1.3 ინდიკატორთან მიმართებით იზიარებს სკოლის არგუმენტირებულ პოზიციას. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა (10.10.2023-10.10.2024), (რისკი-20%).

ინდიკატორი 2.2.1.3 მეტწილ შესაბამისობაშია.

4. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე, რაზეც მეტყველებს შექმნილი სასკოლო კურიკულუმები ყველა კლასისთვის. წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებში ჩანს, რომ მოსწავლეები არ სწავლობენ საკითხებს განყენებულად, არამედ აქცენტი გადატანილია ცოდნის პროცედურულ და პირობისეულ ტრანსფორმაციაში. კურიკულუმებში განვლილი კომპლექსური დავალების იდეებიც სწორედ ამას მოწმობს. მოსწავლეებმა შეძენილი ცოდნა უნდა აქციონ კომიქსად, იგავად, წერილად და ა.შ. ასევე ახორციელებენ აქტივობებს მაგ. ინტელექტუალურ თამაშებს რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეებში სხვადასხვა უნარების განვითარებას. კურიკულუმებში განვლილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამოწვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პრობლემის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები აცნობიერებენ ცოდნის სამივე კატეგორიის განვითარების საჭიროებას და 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის ყველა კომპლექსური დავალება ორიენტირებული იქნება ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

5. წარმოდგენილი დოკუმენტებიდან გამოიკვეთა, რომ პედაგოგებს გაცნობიერებული აქვთ სასწავლო პროცესში მოსწავლეთა ცოდნის ორგანიზებისა და ურთიერთდაკავშირებისთვის კურიკულუმების როლი, რომლებიც საგნობრივი სტანდარტის რეალიზების გზებს წარმოადგენენ და მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ამ თვალსაზრისით. კურიკულუმებში განერილია თემატური დაგეგმვა და კომპლექსური ბუნების დავალებები, როგორც საკვანძო ასპექტები, რომლებიც საგნობრივი კომპონენტების ინტეგრირებულად და ურთიერთდაკავშირებულად სწავლების საშუალებას გვაძლევს. რადგან კომპლექსური ბუნების დავალებები ორიენტირებულია პირობისეულ ცოდნაზე, პრობლემის გადაჭრაზე, გამონვევასთან გამკლავებაზე, რაიმე პროდუქტის შექმნაზე და ა.შ. ბუნებრივად გულისხმობს მოსწავლის ყველა იმ კომპონენტური უნარის გააქტიურებას, რაც მას საშუალებას მისცემს ეს ოპერაციები აწარმოოს. მოსწავლეები ქმნიან კომიქსებს, წერილებს, დღიურებს, აგრძელებენ სიუჟეტს, თხზავენ ამბავს, საკუთარ მოსაზრებას ასაბუთებენ და ა.შ. მასწავლებლები ამ მიმართულებით აქტიურად ახორციელებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებსა და პროექტებს. პედაგოგებს აქვთ მზაობა, აღნიშნული მიდგომები, წინარე გამოცდილება და ახალი მიგნებები გათვალისწინებულ იქნას სასწავლო პროცესში.

2023-2024 სასწავლო წლის კურიკულუმის ჩარჩოებში წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები ნათელ სურათს იძლევა, რამდენად მოხდება შეძენილი ცოდნის თავმოყრა დავალების პროდუქტის შექმნის და წარდგენის მიზნით. მაგალითად, უცხო ენაში მეხუთე კლასში დაგეგმილია კომპლექსური დავალება საკითხით: წერილობითი ანგარიში თემაზე - ქართველი და ბრიტანელი მოზარდების თავისუფალი დროის აქტივობები. აღნიშნული დავალება წარმოადგენს სხვადასხვა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

საკითხების ურთიერთდაკავშირებულად და ინტეგრირებულად სწავლის საშუალებას. თუმცა, რუსული და ინგლისური ენის კურიკულუმებში არ იკითხება და ინტერვიუს პროცესშიც დადასტურდა, რომ საგანთაშორისი-ინტეგრირებული აქტივობები/პროექტები არაა დაგეგმილი, რათა უფრო გამთლინებულად და ჰოლისტურად მოხდეს სასწავლო საგნების ურთიერთდაკავშირება. სასურველია უცხოური ენის კათედრაზე დაიგეგმოს და განხორციელდეს საგანთაშორისი აქტივობები და/ან პროექტები, რათა მოხდეს ცოდნათა ურთიერთდაკავშირება

ინდიკატორი 2.2.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კურიკულუმი;*
- *კომპლექსური დავალება;*
- *მკითხველთა კლუბის წესდება და საშუალო გეგმა.*

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს.

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის პოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით. შემუშავებული კურიკულუმის მიხედვით სკოლას აქვს მზაობა სასწავლო პროცესი წარმართოს სამიზნე ცნებისა და მკვიდრი წარმოდგენების ჩამოყალიბების ხელშესაწყობად. სკოლის მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს, მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექანიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმებში სტრუქტურულ ერთეულებს შორის მიმართებები სწორია. მნიშვნელოვანია რეალიზებული კომპლექსური დავალებები და მათზე რეფლექსია, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, აგრეთვე, პედაგოგებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო აქტივობები გააზრებულია მიზანზე, სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



საკვანძო შევითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. სკოლაში მკითხველთა კლუბი, რომელიც, ასევე, ხელს უწყობს მოსწავლეებში მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას. სკოლის მიერ მიერ წარმოდგენილია კურიკულუმის ჩარჩოები, რომელშიც გათვალისწინებულია გრძელვადიან მიზანთან მიმართება.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კონტენტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან ისინი სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს და არა საგნობრივი საკითხების ამოწურვის „ვალდებულებას“. გასაუბრების დროს პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ახალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ემპათიური გრძნობების ჩამოყალიბებისათვის, ფსიქოსოციალური განვითარებისათვის სკოლაში ყურადღება ექცევა არაფორმალურ განათლებას, რაც ემსახურება მოსწავლეთა პიროვნულ ზრდას, ფსიქო-სოციალურ განვითარებას. კლუბებში გაერთიანება და არაფორმალურ განათლებაში ჩართვა მოსწავლეებში ემპათიის გრძნობას ზრდის. სკოლაში ამ მხრივ დიდი ფუნქცია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ეკისრება დამრიგებელს და მის მუშაობას. ამ მიმართულებით დამრიგებლის როლი დიდია მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში.

ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. სასკოლო სასწავლო გეგმის მიხედვით მოსწავლეები ფასდებიან სამი კომპონენტით: ა) მიმდინარე საკლასო დავალება. ბ) მიმდინარე საშინაო დავალება. გ) შემაჯამებელი დავალება. მასწავლებელს უფლება აქვს განმავითარებელი შეფასება გამოიყენოს ნებისმიერ კომპონენტში. კომპლექსური დავალების შესრულების შემდეგ მოსწავლე ფასდება სოლო ტაქსონომიით. მასალებში წარმოდგენილია მოსწავლეთ შეფასების რუბრიკები, ძირითადად სოლო ტაქსონომიის სახით წარმოდგენილი, სადაც მოსწავლეები შეფასებული იყო სხვადასხვა დონეზე და ქონდა შესაბამისი განმავითარებელი კომენტარი რაც იძლევა იმის საფუძველს რომ შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე; მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მათ გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მათ იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, ამასთანავე შექმნილი აქვთ შეფასების ზოგადი რუბრიკები. აქვთ შექმნილი კონკრეტულ თემაში, საკითხზე მორგებული შეფასების რუბრიკებიც, კათედრის სხდომებზე იხილავენ შემაჯამებელი სამუშაოს ანალიზის ფორმებს. აქვთ კომპლექსური დავალების განმავითარებელი შეფასების რუბრიკებით შეფასების გამოცდილება. მოსწავლეებისთვის ხშირად მიმართავენ თვითშეფასების რუბრიკებს. პედაგოგები 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის კათედრა გეგმავს განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელით მუშაობას, ხოლო სადიაგნოსტიკო ტესტებს შეამოწმებენ პირველი ინსტრუმენტის საშუალებით. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები დააკვირდებიან მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, გააანალიზებენ და მიღებულ გამოცდილებას გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წლისათვის.

ინდიკატორი 2.2.2.3 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი. სკოლაში მოქმედებს და ახალი სასწავლო წლისთვისაც არჩეულია, როგორც განმავითარებელი, ამასთანავე განმსაზღვრელი შეფასების სისტემის პირველი მოდელი, შეფასების სრულყოფილი სისტემა გათვალისწინებულია სასკოლო სასწავლო გეგმით. აღნიშნული ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის. ინტერვიუს დროს მასწავლებელმა წარმოადგინა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები ექსპერტების მიერ მოწოდებული ნიმუშის მიხედვით. აღსანიშნავია კომპლექსურ დავალებებში ჩაშენებული შეფასების კრიტერიუმები თავისთავად უზრუნველყოფს შეფასების სისტემის გამჭვირვალებას და ვალიდურობას. ინტერვიუს დროს გამოიკვეთა გარკვეული გამოწვევები შეფასების რუბრიკებთან დაკავშირებით და მასწავლებლებმა გამოთქვეს მზაობა ამ საკითხთან დაკავშირებით ჩაღრმავების და კათედრაზე შემუშავების თაობაზე.

ინდიკატორი 2.2.2.4 დაკმაყოფილებულია

5. სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომელიც დაამტკიცა ვიზიტის პერიოდში ბრძანება N2-47-ით. აღნიშნული დოკუმენტი მოიცავს პროცესის, მტკიცებულების და შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაციას.

ინდიკატორი 2.2.2.5 დაკმაყოფილებულია

6. კანონის შესაბამისად სკოლაში უზრუნველყოფილია შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების აღრიცხვა და შენახვა, რაც მტკიცდება წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და გასაუბრების საფუძველზე. სკოლა აწარმოებს ელექტრონულ ჟურნალს. ამასთანავე, ინფორმაცია აისახება მოსწავლის პირად საქმეში, რომელიც ინახება სკოლაში კანონმდებლობით დადგენილი ვადით.

ინდიკატორი 2.2.2.6 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო სასწავლო გეგმის დანართი;
- განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგნობრივი კათედრების წევრებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე ვასკვნით, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი გარემო. სკოლის მიერ შეთავაზებული სასწავლო თუ არაფორმალური განათლებისთვის განკუთვნილი აქტივობები განკუთვნილია იმისთვის, რომ მოსწავლეებს ხელი შეეწყოს საკუთარი პოტენციალის განვითარებასა და რეალიზებაში. ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ერთმანეთის დახმარებაზე. კათედრის წევრები ხშირად ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილებს,

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

უზიარებენ გამოცდილებას, ესწრებიან ერთმანეთის გაკვეთილებს, აძლევენ უკუკავშირს - რჩევებსა და რეკომენდაციებს. მათ ერთობლივად განიხილეს და შეადგინეს კურიკულუმის ჩარჩო, მსჯელობენ და ქმნიან შეფასების რუბრიკებს, გაკვეთილზე დასწრების ფორმებს.

ინდიკატორი 2.2.3.1 დაკმაყოფილებულია

2. სკოლის თვითშეფასების ფორმაში წარმოდგენილი აღწერილობა სრულ შესაბამისობაშია რეალობასთან, რაც დადასტურდა კათედრის წევრებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას. თითოეული წვრილმანი ადასტურებს, სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად. კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის ჩარჩოც გვაძლევს იმის საფუძველს, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოა შექმნილი, ვინაიდან დაგეგმილი კომპლექსური ტიპის დავალებები იძლევა საშუალებას, დააკვირდნენ მოსწავლის საჭიროებებს და პროგრესს გრძელვადიან მიზნებთან შესაბამისად. მოსწავლეთა ნაშრომების ხილვისას სხვადასხვა აქტივობის ფარგლებში ნათელი წარმოსადგენია, რომ ბავშვები შემოქმედებითად თავისუფალნი არიან.

ინდიკატორი 2.2.3.2 დაკმაყოფილებულია

3. სკოლის სტრუქტურული ერთეულები, ჩანს, მჭიდროდ თანამშრომლობენ ერთმანეთთან; სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოებასთან თანამშრომლობით. სასწავლო გეგმები იქმნება კათედრაზე ერთობლივად მიღებული გადაწყვეტილებების საფუძველზე. კათედრის წევრები გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს; ერთმანეთს უზიარებენ წარმატებულ პრაქტიკას. ჩანს, რომ იცნობენ ერთმანეთის სამოქმედო გეგმებს. კურიკულუმი, საკლუბო საქმიანობა, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი, მასწავლებელთა და კათედრების ანგარიშები, სადამრიგებლო საათი) გაცნობით იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

(მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, სკოლის დირექცია, ადმინისტრაცია). სკოლა მცირეკონტიგენტიანია და ესეც განაპირობებს იმას, რომ კომუნიკაცია (ზოგჯერ, საჭიროებისამებრ, ონლაინ) არის უწყვეტი და დინამიკური.

ინდიკატორი 2.2.3.3 დაკმაყოფილებულია

4. პედაგოგებთან ინტერვიუს დროს, გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართული არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. სკოლა მცირეკონტიგენტიანია და ამიტომ ისინი მუდმივად ერთვებიან ერთმანეთის სამუშაოებში და ადვილად ახერხებენ ურთიერთდასწრებას, გამოცდილების გაზიარებას, რჩევა/რეკომენდაციების მიცემას. მასწავლებლებმა პირისპირ გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასკოლო კლიმატის შესაქმნელად ცდილობენ წახალისონ სამოქალაქო არაფორმალური განათლების აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, დამრიგებლები თავიანთ ანგარიშებში წარმოაჩენენ მშობელთა ჩართულობის ფორმებსა და აქტივობებს. ეს აქტივობები სკოლას განერილი აქვს ერთწლიან სამოქმედო გეგმაში და არა მხოლოდ ერთი მიმართულებით, არამედ კომპლექსურად, იქნება ეს მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, სწავლა-სწავლების ხარისხი, პროფესიული განვითარება, უსაფრთხო გარემო თუ სხვა. **ინდიკატორი 2.2.3.4 დაკმაყოფილებულია**

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- კურიკულუმის შემუშავების, დანერგვისა და განვითარების გეგმა.

შეფასება:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☐ შეესაბამება
- ☒ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.3 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. პედაგოგიური საბჭოს სხდომაზე ხდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე მსჯელობა პრობლემების იდენტიფიცირებისა და მათი მოგვარების გზების დროულად აღმოჩენისთვის. აქტიურად ხორციელდება მასწავლებელთა მიერ დაგეგმილ გაკვეთილებზე დასწრება, შეფასება, რეკომენდაციების მიცემა, აქტიურად მუშაობს „კრიტიკული მეგობრის“ ინსტიტუტი. სკოლას შემუშავებული აქვს კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია, რომლის მიხედვითაც მომდევნო წლის სასკოლო კურიკულუმზე მუშაობას იწყებენ სასწავლო წლის დასრულებისთანავე განვლილი სასწავლო წლის შედეგების, ანალიზისა და შეფასების საფუძველზე. კერძოდ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ისინი ეყრდნობიან მასწავლებელთა თვითშეფასებებს, საგნობრივი კათედრის ანალიზებს, კომპლექსურ და შემატყობველ დავალებათა ანალიზებს, კლუბების, წრეების, პროექტების განხორციელების პროცესისა და შედეგების რეფლექსიებს.

ინდიკატორი 2.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. მონიტორინგი და შეფასება ეხმარება სასკოლო საზოგადოებას უპასუხოს მთავარ შეკითხვას: რამდენად მიემართება სასკოლო ცხოვრება მიზნისკენ. თავად პროცედურა გულისხმობს, როგორც სწავლების მიმდინარეობის ეფექტურობის გაზრდას, ასევე მასში ჩართული პირების მხარდაჭერასა და კონსტრუქციული უკუკავშირით გასავითარებელ მხარეებზე ყურადღების გამახვილებას..სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი,რომელიც გაკვეთილზე ესწრება პედაგოგებს არსებული პრობლემის იდენტიფიცირების და დროულად აღმოფხვრის გზების გასატარებლად.მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას; მონიტორინგის მთავარი მიზანია გამოავლინოს არსებული, გაანალიზოს დადებითი და გასაუმჯობესებელი, და საჭიროებებზე დაყრდნობით ხელი შეუწყოს სამომავლო მიზნების შემუშავებას.

ინდიკატორი 2.3.1.2 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

3. მონიტორინგისა და შეფასების პროცესში აქტიურად ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია, მოსწავლეები, სასკოლო საზოგადოება, მშობელი და შედეგად შესაძლებლობა იქნება შეფასდეს სკოლის მუშაობის პროცესი და დაისახოს სუსტი მხარეების გამოსწორების გზები უკეთესი შედეგების მისაღწევად. სკოლაში ფუნქციონირებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი, რომელიც პოზიტიური უკუკავშირის სახით იძლევა რეკომენდაციებს საჭიროების შემთხვევაში. ანალიზისა და გაკეთებული დასკვნების საფუძველზე კი ისახება გაუმჯობესების სტრატეგიები.

ინდიკატორი 2.3.1.3 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის დაგეგმვისა და შემუშავების მეთოდოლოგია;
- კათედრის სამოქმედო გეგმა,
- კურიკულუმის ჩარჩო,
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა/ურთიერთდასწრების შედეგები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. მასწავლებელი ეცნობიან მასწავლებლის მეთოდური ლიტერატურაში არსებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს, შეფასების ეს ფორმები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდურ ორიენტირებს. გაკვეთილის დასაწყისში მოსწავლეებმა იციან თუ რომელ კომპონენტში რომელი კრიტერიუმით შეფასდებიან, თუმცა წარმოდგენილი რუბრიკები ყოველთვის არ იძლევა შედეგების ზუსტად გაზომვის შესაძლებლობას. კომპლექსურ დავალებებში მოსწავლეები ფასდება სოლო ტაქსონომიით; შეფასება ხორციელდება როგორც წერილობით, ისე ზეპირსიტყვიერად. პედაგოგები იცნობენ შეფასების ახალ ინსტრუმენტებს, რომელთა გამოყენებასაც გეგმავენ. შეფასება ხორციელდება ძირითადად შემატამბელი დავალებების, საკლასო აქტივობებში ჩართულობის, ჯგუფური მუშაობისა და პრეზენტაციის უნარების მიხედვით. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს, თვითშეფასებას. ამასთანავე, შეფასებისთვის დაკვირვება ხდება როგორც კლასში, ასევე ეზოში, სათამაშო სივრცეში, არაფორმალურ გარემოში. გასაუბრებისას შესაძლებელი იყო ამ მიმართულებით მზაობის დადგენა. სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ სკოლა იყენებს ჰოლისტურ შეფასებას. სასწავლო პროცესის შეფასება მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური მონაწილეობით ფუნქციონირების დელეგირების საფუძველზე.

ინდიკატორი 2.3.2.1 დაკმაყოფილებულია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

2. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში, 2023-2024 სასწავლო წლის საგნობრივ კურიკულუმებსა და მასწავლებლებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა, რომ დაწესებულებაში შეფასება განხორციელდება მრავალმხრივი კონტექსტების გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფილი იქნება თითოეული მოსწავლის შესახებ მაქსიმალურად სრულყოფილი და ამომწურავი ინფორმაციის მოპოვებით და სასწავლო პროცესში გათვალისწინებით. ინფორმაციის მოსაპოვებლად გათვალისწინებული შეიძლება იყოს სახლი, სკოლა, კლასი, ეზო, სათამაშო სივრცე, კონკრეტული გაკვეთილი და ა. შ. აქედან გამომდინარე, სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. შეფასების მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრება კონტექსტებიც და ფოკუსიც, რაც მოცემულ კონტექსტში გვჭირდება. მოსწავლის შეფასების დროს გათვალისწინებული იქნება სხვადასხვა ფაქტორები: ღირებულებები, მისწრაფებები, სურვილები, შესაძლებლობები. მოსწავლის ქცევას სკოლაში აკვირდება კლასის დამრიგებელი.. სასწავლო პროცესში ყურადღება გამახვილდება მოსწავლის განვითარების უახლოესი დონის დადგენაზე და შესაბამისად განვითარებისთვის ზრუნვაზე (ფიზიკური, კოგნიტური, ემოციური..).

ინდიკატორი 2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. პედაგოგი ახორციელებს მონიტორინგს მოსწავლეთა სწავლაზე და შეძლებისდაგვარად აწვდის მათ უკუკავშირს. უკუკავშირი ეფუძნება შეფასების სხვადასხვა ფორმას: მოსწავლეზე დაკვირვებას, ტესტს, კითხვა-პასუხს. პრიორიტეტს ანიჭებენ მოსწავლის თვითშეფასებას. წარმოდგენილი დოკუმენტის მიხედვით სკოლა შეფასებისას გამოიყენებს მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვან მეთოდებს: დაკვირვება, დიაგნოსტიკების მეთოდები, ხდება შედეგების ანალიზი. კურიკულუმის მეთოდოლოგიით განსაზღვრული არის სასკოლო საზოგადოების ინფორმირებისა და მათგან უკუკავშირის მისაღებად სხვადასხვა არხების გამოყენება: ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, სკოლის ფეისბუქ-გვერდი, საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიური ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან. მასწავლებლები

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

თანამშრომლობენ მშობლებთან და კლასის დამრიგებლებთან. მათი დახმარებით ადგენენ მოსწავლეების ინტერესების სფეროს, გამოკვეთენ მათ ძლიერ და სუსტ მხარეებს, რისი საშუალებითაც ექმნებათ სრული წარმოდგენა მოსწავლეების შესახებ.

ინდიკატორი 2.3.2.3 დაკმაყოფილებულია

4. სასწავლო პროცესის შეფასებისას (საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, მასწავლებელთა ურთიერთდასწრება) გათვალისწინებულია სხვადასხვა ფაქტორი. ყურადღება მახვილდება, რამდენად უწყობს ხელს განხორციელებული აქტივობები ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნების მიღწევას, გლობალური-ფუნქციური უნარების განვითარებას, გათვალისწინებულია თუ არა მოსწავლის ინტერესები და საჭიროებები.

ინდიკატორი 2.3.2.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- განმავითარებელი და განმაზღვრელი შეფასების რუბრიკები,
- სოლო--ტაქსონომია,
- შემაჯამებელი წერის ანალიზის ფორმა.

შეფასება:

◦ *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



◦ შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

- ☒ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



1. პედაგოგებთან და ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან გასაუბრებისას ცხადი გახდა, რომ იგეგმება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტის სტრუქტურის შემუშავება, რომელიც განსაზღვრავს მექანიზმს, როგორ გაუნწევს მონიტორინგს კურიკულიუმის შემუშავების და დაგეგმვის ეტაპებს, მოსწავლეების მიერ მის გააზრებასა და განხორციელებას, ასევე მასწავლებლისა და მოსწავლეთა ერთობლივ მუშაობას სხვადასხვა აქტივობებზე. განაცხადში იკითხება, რომ სამომავლო პერსპექტივების შეფასებისას ეყრდნობიან წინა სასწავლო წლის გამოცდილებას ახალი სასწავლო წლის სასწავლო პროცესების გაუმჯობესების მიზნით.

ინდიკატორი 2.4.1.1 დაკმაყოფილებულია

2. შექმნილი კურიკულუმი პირველადი სახითაა წარმოდგენილი და არ არის გადამუშავებული ვერსია. თუმცა პედაგოგის თქმით, ის ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს სკოლაში ამ ეტაპზე მოქმედი მექანიზმებით (ძირითადად ზეპირად) მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. თუმცა, ახალი სასწავლო წლიდან ამოქმედებას დაიწყებს ესგ-ს დანერგვის ახალი სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი, რომლის შედეგები გახდება სამომავლოდ კურიკულუმის რევიზირების საფუძველი. პედაგოგთან გასაუბრებამ ცხადყო ამ მიმართულებით მისი დამაკმაყოფილებელი მზაობა.

ინდიკატორი 2.4.1.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმები,
- ესგ-ს დანერგვის სადიაგნოსტიკო ინსტრუმენტი.
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

07.12.2023

თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

მ. შ.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

ნ. ლომიძე ნ. მარაგაძე ნ. გულაშვილი

ნ. თამაზაშვილი ნ. ერეკლეიძე დ. გულიაშვილი ა. მუხომბიძე ი. ქობულაძე ი. მარაგაძე ნ. გულიაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:
